ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 187 (20933) ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 1990 წელი. ფასი 4 კაპ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

14 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას მოეწვიდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე. განიხილეს საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება უზენაესი საბჭოს მორიგი სესიისათვის, რომლის გახსნა მიმდინარე წლის 17 აგვისტოსათვის არის დანიშნული.

ცნობილია, თუ რაოდენ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა მზადება სესიისათვის, რომლის მონაწილეებმაც უნდა მიიღონ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი, შეახსენა რა პრეზიდიუმის წევრებს, თუ რა თანმიმდევრობით და ძალებით მიმდინარეობდა მუშაობა მოქმედი არჩევნების კანონის ცვლილებებისა და დამატებების პროექტზე — სახელდობრ, ასეთი ამოცანა დაესახა პრეზიდიუმს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 20 მარტს — პრეზიდიუმის მდივანმა ვახტანგ ბაკურაძელიამ ხაგზსმით აღნიშნა, რომ შესაბამისმა კომისიამ უკვე ეგნინში შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა და მოამზადა **კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მთავარ მოთხოვნას — არჩევნების მრავალპარტიულ საფუძველზე მოწყობას, რაც უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის გზაზე.**

მომზადებული კანონპროექტები მოქალაქეობისა და პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების შესახებ მთელი რიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების წინადადებით არ ყოფილა გამოტანილი საყოველთაოსახალხო განხილვისათვის, აგრეთვე შეტანილი სესიის დღის წესრიგში, რათა ისინი დაემტკიცებინა ერთი ახალ, დემოკრატიულად არჩეულ პარლამენტს.

ამავე დროს ზოგიერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია განაგრძობდა მუშაობას პროექტზე, რომელშიც ისინი შეიცავდნენ .შეეტანათ მოქალაქეობისა და პარტიების შესახებ მათი თხოვნით დროებით გადადებული კანონპროექტების ცალკეული დებულებები. მესამე კანონპროექტი გაჩნდა, როგორც კომპრომისული ვარიანტი და გამოქვეყნდა 1 აგვისტოს უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წინადადებით პირველ ორ პროექტთან ერთად.

სამი კანონპროექტის პუბლიკაცია რამდენადმე ართულებს დეპუტატების, სესიის მონაწილეების ამოცანას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს ნორმალური დემოკრატიული აქტია. უაღრესად სასურველია მათი ფართო საზოგადოებრივი განხილვა პრესაში, ყოველ ტ ალ ეგ ებ ში. პრეზიდიუმმა უკვე მიიღო ათობით გასწორება, შენიშვნა და წინადადება პროექტთან დაკავშირებით, რომლებიც ითვალისწინებულ იქნება.

მიღებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის სალქო, ქუთაისის საქალაქო და სხვა რაიონული და საქალაქო საბჭოების მიერ შემოთავაზებული მესუწორებები. **პროექტებს განიხილავს აგრეთვე უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შედგარი სამი საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფი პროფესორ ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით.**

გაჩნდა პრინციპულად ახალი წინადადებებიც, რომლებიც სახალხო ყველაზე სადავო საკითხებში ოფელისმომცველი შეთანხმების მიღწევის გზას ყოველივე იმ საკითხისს გამოყენებით, რასაც ეეცავს სამი კანონპროექტი. **საინტერესოა ერთი რამ — განხილვის მონაწილე ყველა მხარე კონსტიტუციულად მოეკიდოს საქმეს. ეუკარა, ულტიმატუმები, დაშინება, ძალისმიერი ზემოქმედება, ბარიკადები — ეს ის გზა როდია, რომელიც დაეხმარება საზოგადოებას, გააკეთოს გააზრებული, სწორი არჩევანი. ასეთმა მოქმედებამ შეიძლება მხოლოდ დააზიანოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა მივიღოთ მშვიდ, დემოკრატიულ ვითარებაში.**

სამი კანონპროექტიდან ყველაზე საუკეთესოს ამორჩევა და ერთ დოკუმენტად შეკვრა შეიძლება დაკისრებოდა სესიის დეპუტატთა სპეციალურ ჯგუფს, რომელიც გახდება თავისებური შემთხვევითი კომისია — ასეთია საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე წამოყენებულ წინადადებათა დედააზრი, რომელშიც გაერთიანებული არიან დეპუტატები — სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები, თქვა პრეზიდიუმის სხდომაზე ჯგუფის ხელმძღვანელმა დეპუტატმა **დემურ დვალიშვილმა,** რომელმაც გაიცნო პრეზიდიუმის წევრებს მისი მუშაობა.

როგორც დ. დვალიშვილმა აღნიშნა, საინიციატივო ჯგუფის წევრებს საჭიროდ მიაჩნიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაძლიერდეს კანონპროექტების პრინციპულ დებულებათა განმარტება, სამივე ვარიანტი გაშუქდეს თანაბრად, პარიტეტულ საწყისებზე, დამთავრდეს ხელაღებით კრიტიკა და კრიტიკანობა. მრავალი დელეგატის აზრით, თქვა დ. დვალიშვილმა, მიუღებელია პარტიების რეგისტრაცია საარჩევნო კომისიაში, აგრეთვე მისი ეტაპობრივი ფორმირების პრინციპი. საოგებლობას არ მოუტანს რესპუბლიკას არც ორი საბჭოს დეპუტატობის აკრძალვა.

დეპუტატების — მუშების, სამეურნეო ხელმძღვანელების მეორე საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა დეპუტატმა **ალექსი გოცირიძემ** თავის ინფორმაციაში ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მთელი რიგი პირობებია უთუოდ საჭირო პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის დროს — ამომრჩევლები კარგად უნდა იცნობდნენ არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა და მათი ლიდერების პროგრამებსა და მიზნებს.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ მუშათა დიდ კოლექტივებს უნდა ჰქონდეთ კანდიდატების დასახელების უფლება. სრულიად არამართლზომიერად მიაჩნიათ ამომრჩევლისა და კანდიდატებისათვის დადგენილი რესპუბლიკაში 5 და 10 წლის ცხოვრების ცენზი, რაც უმნიშვნელოვანეს მოქალაქეობრივ უფლებებს წაართმევს ბევრ თანამემამულეს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო სულ ახლახან დაბრუნდნენ რესპუბლიკაში მუდმივ საცხოვრებლად.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შეულახავად, გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ არჩევნების კანონში ყველა კანდიატის მიერ მისი აუცილებელი ცოდნის პუნქტის დღესვე შეტანა აშკარად ნაადრევია და კონფრონტაციის გარდა ვერაფერს ვერ მოგვიტანს. საინიციატივო ჯგუფის წევრები როგორც ა. გოცირიძემ თქვა, უაღრესად გააკვირვა იმან, რომ ასეთი მოთხოვნა ალტერნატიულ პროექტში გაჩნდა პრესაში მისი გამოქვეყნების წინა დღეს. „დას“-ის წევრების. მიერ შემუშავებულ ვარიანტში იგი არ არსებობდა, ვინ არის ესოდენ ნაჩქარევი და ვაზეთან გაუაზრებელი წინადადების ავტორი?

როგორც ა. გოცირიძემ თქვა, საინიციატივო ჯგუფის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის პროვოკაციული ცდები, რომ ისინი, ვინც არ ეთანხმება ალტერნატიულ, მეორე პროექტს, ამთავვითვე გამოაცხადონ „ერის მტრედ“. სამივე კანონპროექტი დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, ისინი კარგ საფუძველს უქმნიან არჩევნების ერთიანი სრულფასოვანი კანონის შექმნას.

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, რომელიც **გრიგოლ ლორთქიფანიძესთან** ერთად ფრის შემოქმედი ინტელიგენციის დელეგატთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, ილაპარაკა რა კანონპროექტების განხილვაზე, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საინიციატივო ჯგუფში წარმოქმნილ აზრს იმის თაობაზე, რომ **კანონის ალტერნატიული პროექტი მომავლის პროექტია.**

მაღალგანვითარებული დემოკრატიული სისტემის მქონე სხვა ქვეყნების გამოცდილების არგუმენტად მოყვანა არ ეამოგვადგება საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში და ეს არის მისი მთავარი ნაკლი. **ჩვენ კიდევ ვიცხოვრებთ საქართველოში, რომელშიც შესაძლებელი იქნება ასეთი კანონის მოქმედება, მაგრამ დღეს უნდა შეთანხმებული, რეალური გადაწყვეტილებები მივიღოთ. დაბირება იმისა, რომ საქართველოს უფრო დიდი უბედურება, ახალი საპროტესტო აქციები დაატყდეს თავს, რომლებიც მასშტაბით სამტრედიისას გადაეჭრებს, რაც თითქოს რესპუბლიკას ელის ალტერნატიული კანონპროექტის მიუღებლობის შემთხვევაში, სცილდება პოლიტიკური ბრძოლის, მორალისა და ეთიკის ფარგლებს. კანონმა, უწინარეს ყოვლისა, გარანტია უნდა მისცეს ამომრჩეველს, რომ არც ერთ პარტიას არ მიეცემა თავისი დიქტატორის განხორციელების შესაძლებლობა, რომ ვერც ერთი პარტია ვერ ამოეფარება თავისი ლიდერის სახელს, რომ არც ერთი ჩვენი ღირსეული თანამემამულე არ იქნება მოკლებული არც აქტიურ, არც პასიურ საარჩევნო უფლებას მინდობრობის გადაჭარბებული ცენზის გამო.**

რა პირით გინდა, ზნეობრივი უწოდო არჩევნებში რომელიმე პარტიის, მით უმეტეს მმართველი პარტიის მონაწილეობის აკრძალვას, პარტიისას, რომელმაც თავად გაიზიარა სხვა პოლიტიკური პარტიების აღიარებისა და მრავალპარტიული არჩევნების მოწყობის იდეა.

როგორც ჯ. ჩარკვიანმა თქვა, სამუშაო ჯგუფის ბევრი წევრი უფრო იმ წინადადების მომხრეა, რომ **ჩამოყალიბდეს პარლამენტი 300 დეპუტატთაგან, რომელთაგან 200-ს აირჩევენ მაჟორიტარული სისტემით, ხოლო 100 დეპუტატს — პროპორციული სისტემით.** ეს წინადადება დასახვეწი და შესასწავლია. ნებისმიერ შემთხვევაში, ძალზე ცოტა დრო დარჩა, და ამიტომ საჭიროა კონსტრუქციული სჯა-ბაასი და არა ჯიბრი.

პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას პროფესორმა **ლევან ალექსიძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა სამუშაო ჯგუფსა და კომისიას, რომლებიც ახლა პრეზიდიუმში მუშაობენ, აქვთ საკონსულტაციო სტატუსი და მოწოდებული არიან დააახლოონონ მხარეთა პოზიციები, მიაგნონ ოპტიმალურ გადაწყვეტებს. ეს სამუშაო ძნელად მიმდინარეობს, მაგრამ დაუძლეველი დაბრკოლებები აქ არ არის.

სპეციალისტები შესაძლო კომპრომისული ვარიანტის სახით აყენებენ წინადადებას, მაჟორიტარული სისტემის მიხედვით საარჩევნო ოლქების შექმნასთან ერთად დათანხმდნენ გამსხვილებული ოლქების შექმნასაც, სადაც ხმების დათვლა იწარმოებს პროპორციული სისტემით, ოღონდ არა მთელი რესპუბლიკის, არამედ თითოეული ოლქის მასშტაბით. ამრიგად, პარტიების სიებში შეიძლება შედიოდნენ გაცილებით ნაკლები რაოდენობის კანდიდატები — ოლქის მანდატების რიცხვის მიხედვით, რაც მოსახლეობას გაუადვილებს არჩევანის შესაძლებლობას.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, დეპუტატმა **გრიგოლ ლორთქიფანიძემ,** რომელიც განხილვაში მონაწილეობდა, თავის უაღრესად ემოციურ და შინაარსიან გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეანდელობის უმთავრესი საკითხია, როგორი იქნება საქართველო კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ — დანაწევრებული, გაჩანაგებული და ქანცგაცლილი, თუ გაერთიანებული, შეკავშირებული და გაერთმთლიანებული? **ჩვენ მუდამ ვიქნებ-ვადიდებდით და ვადმერთებდით იმათ, ვინც საქართველო შეგვინარჩუნა, გააერთიანა და არა იმათ, ვინც სხვათა მიწების დაპყრობას ეხეჩაფოდა.**

ცხოვრებაში ყოველთვის დგება ხოლმე მომენტი, როდესაც უნდა დაივიწყო შუღლი, გვერდზე გადადო ანგარიშის გასწორების გეგმები და ყველაფერი ანაცვალო ეროვნულ ინტერესებს. შეიარ, საკონსულტაციო, საინიციატივო ჯგუფების, საზოგადოებისაგან შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების განზოგადებისათვის. სამივე კანონპროექტის დახვეწასთან ერთად, საზოგადოებაში შექმნილი აზრის გათვალისწინებით, უნდა შევუდგეთ ერთიანი დოკუმენტის შემუშავებას, რომელშიც ერთმანეთს შეერწყმის ყველა გამოქვეყნებული ვარიანტის ღირსებები. უაღრესად საჭიროდ გვესახება, რესპუბლიკაში სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის უზრუნველყოფის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომ პრეზიდიუმის წევრთა აქტიური და უშუალო მონაწილეობით **უკვე უახლოეს ხანს უზრუნველვყოთ საბოლოო გადაწყვეტილების შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წინადადებებს, და ამავე დროს გამორიცხავს ულტიმატუმების წამოყენებისა და დეპუტატებზე ძალდატანების ცდებს. ამასთან ,ერთად, უნდა იქნეს მიღებული, რომ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საბოლოო დოკუმენტის მიღება უნდა განხორციელდეს სრული კონსენსუსის პირობებში, სამივე დოკუმენტისა და შემოსული წინადადებების საფუძველზე.**

იმ შემთხვევაში, თუ ყველა მხარის საჭირო თანხმობას ვერ მივაღწიეთ, საჭიროა შევიმუშაოთ და განსახილველად წამოვიყენოთ **უმაღლოდ უზენაესი საბჭოს სესიაზე სამივე კანონპროექტის განსჯის პროცედურული მექანიზმი,** ერთი პრიორიტეტული დოკუმენტის თითოეული მუხლის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებ.

ვფიქრობ, სწორი იქნება, ფართოდ გავაცნოთ რესპუბლიკის მოსახლეობას უზენაესი საბჭოს სესიის სამზადისი და შექმნილი ვითარება, კვლავაც მოვაწყოთ დეპუტატთა შეხვედრები სახელმწიფო სამართლის დამოუკიდებელ კომპეტენტურ ექსპერტებთან, მივმართოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თხოვნით. უაღრესად ფართოდ გააშუქონ საზოგადოებრივი პოზიციის მთელი მრავალფეროვნება არჩევნების კანონთა პროექტების შეფასებაში, ამასთან გამორიცხონ ტენდენციურობა და ცალმხრივობა.

სწორი იქნება, თუ ჩვენ ამთავითვე დავიწყებთ ფიქრს იმაზე, თუ როგორ ვიმოქმედოთ, იმ შეთხვევაში, თუ ვერც სესიაზე შეძვლოთ გარკვეული გადაწყვეტილების მიღება? ვფიქრობ, რომ სწორი იქნება. ეტყობა, თუ ასე მოხდა, უნდა გამოვნახოთ ეროვნული თანხმობის მიღწევის რაღაც განსაკუთრებული გზა, რათა არჩევნების კანონმა არ გათიშოს საქართველო, არ დაქსაქსოს იგი პარტიულ უთანხმოებათა გამო.

ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე ვდგავართ, თქვა გ. გუმბარიძემ, და ამიტომ გვმართებს გამოვიჩინოთ დიდი პასუხისმგებლობა, წინდახედულება და ამავე დროს პრინციპულობა, სიმტკიცე. უნდა ვხედავდეთ და ვიცოდეთ, რა პროცესები მიმდინარეობს დღეს მთელ რესპუბლიკაში; როგორ ესახებათ საერთო პრობლემები აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, სხვა რეგიონებში. იმას, ვინც ულტიმატუმებს აყენებს, შემოაქვს ნაჩქარევი, გაუაზრებელი, ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის აშკარად მიუღებელი წინადადებანი, უთუოდ იმის იმედი აქვს, რომ ამით რაღაც სარგებელს ნახავს. მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო საკუთარი ერის წინაშე, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რა რთულ მდგომარეობაშია რესპუბლიკა, რაოდენ დაძაბული, ძნელი პროცესები მიმდინარეობს ჩვეულებისა და მსოფლიოში. ახლა ჩვენი საერთო ამოცანაა ყველაფერი ვიღონოთ, რათა არჩევნების კანონის პროექტი პაექრობისა და კონფრონტაციის საგნიდან გადაიქცეს კონსოლიდაციის, კონსენსუსის, თანხმობისა და ერთიანობის დოკუმენტად. ეს არის ჩვენი სიბრძნის, პასუხისმგებლობის, დემოკრატიზმის, პლურალიზმის, ეროვნული ინტერესების, საქართველოს ინტერესების სწორი გაგების სერიოზული პოლიტიკური გამოცდა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის უფლებათა აღდგენის შესახებ

წარსული მძიმე მემკვიდრეობაა მასობრივი რეპრესიები, თვითნებობა და უკანონობა, რომლებსაც სჩადიოდა სტალინის ხელმძღვანელობა რევოლუციის, პარტიის, ხალხის სახელით. 20-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული თანამემამულეთა პატივისა და თვით ცხოვრების შებღალვა გრძელდებოდა რამდენიმე ათწლეულს. უსასტიესი თანამიმდევრულობით ათასობით ადამიანი მორალურად და ფიზიკურად აწამეს, მრავალი მათგანი მოსპეს. მათი ოჯახებისა და ახლობლების ცხოვრება გადაიქცა დამცირებისა და ტანჯვის შავბნელ ზოლად.

სტალინმა და მისმა გარემოცვამ მიითვისეს პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება და წაართვეს საბჭოთა ხალხს თავისუფლებანი, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ბუნებრივად და განუყოფლად არის მიჩნეული.

მასობრივი რეპრესიები უმეტესწილად ხორციელდებოდა სასამართლოგარეშე ანგარიშსწორების გზით ეგრეთ წოდებული საგანგებო თათბირების, კოლეგიების, „სამეულებისა“ და „ორეულების“ მეშვეობით. მაგრამ სასამართლოებშიც ფეხქვეშ თელეობდა სასამართლო წარმოების ელემენტარული წესრიგი.

სკკპ XX ყრილობის მიერ დაწყებული სამართლიანობის აღდგენა არათანამიმდევრულად ხდებოდა და არსებითად შეწყდა 60-იანი წლების მეორე ნახევარში.

რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამტკიცით შესწავლის სპეციალურმა კომისიამ მოახდინა ათასობით უდანაშაულოდ მსჯავრდადებულის რეაბილიტაცია, გაუქმდა უკანონო აქტები მშობლიური ადგილებიდან დევნილი ხალხების წინააღმდეგ; უკანონოდ ცნეს პოლიტიკური საქმეების გამო 30-50-იან წლებში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასამართლოგარეშე ორგანოების გადაწყვეტილებანი; მიღებულია სხვა აქტებიც, თვითნებობის მსხვერპლთა უფლებების აღდგენის შესახებ.

მაგრამ დღესაც ჯერ კიდევ აღძრული არ არის ათასობით სასამართლო საქმე. უსამართლობის ლაჟა დღემდე ვერ მოშორებია საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც უდანაშაულოდ დაზარალდნენ ძალადური კოლექტივიზაციის დროს, დააპატიმრეს, გაასახლეს ოჯახებითურთ შორეულ რაიონებში არსებობის სახსრების გარეშე, ხმის უფლების გარეშე, თავისუფლების აღკვეთის ვადის გამოცხადების გარეშეც. რეაბილიტირებულ უნდა იქნენ სამღვდელოების წარმომადგენლები და მოქალაქეები, რომლებსაც სდევნიდნენ რელიგიური მოტივებით.

ყველამ ჩვენ, მთელმა საზოგადოებამ, რომელიც დაადგა მორალური აღორძინების, დემოკრატიისა და კანონიერების გზას, რაც შეიძლება მალე უნდა დავძლიოთ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნიადაგზე უკანონობათა, პოლიტიკურ დევნათა შედეგები.

პრინციპულად ვგმობ რა მასობრივ რეპრესიებს, მიმაჩნია რა ისინი ცივილიზაციის ნორმებთან შეუთავსებლად და სსრ კავშირის კონსტიტუციის 127[7] და 114 მუხლების საფუძველზე **ვადგენ:**

1. მიჩნეულ იქნეს უკანონოდ, ადამიანის ძირითადი მოქალაქეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების საწინააღმდეგოდ რეპრესიები, რომლებიც ხორციელდებოდა გლეხთა მიმართ კოლექტივიზაციის პერიოდში, აგრეთვე ყველა სხვა მოქალაქის მიმართ პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, რელიგიური და სხვა მოტივებით 20-50-იან წლებში, და მთლიანად აღდგეს ამ მოქალაქეთა უფლებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობებმა, ამ ბრძანებულების შესაბამისად, 1990 წლის 1 ოქტომბრამდე საკანონმდებლო ორგანოებში შეიტანონ წინადადებანი რეპრესიების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების უფლებათა აღდგენის წესის შესახებ.

2. ეს ბრძანებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც საფუძვლიანად მსჯავრდადებული არიან დიდი სამამულო ომის დროს, ომისწინა და ომისშემდგომ წლებში სამშობლოს და საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ დანაშაულობათა ჩადენისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში პროექტი საკანონმდებლო აქტისა, რომელიც განსაზღვრავს ამ დანაშაულობათა ნუსხას და იმ პირთა სასამართლოში აღიარების წესს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მათი ჩადენისათვის და არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით.

3. ვითვალისწინებ რა 20-50-იან წლებში უსაფუძვლოდ რეპრესირებული მოქალაქეების უფლებათა აღდგენასთან დაკავშირებული საკითხის სრული გადაჭრის პოლიტიკურ და სოციალურ მნიშვნელობას, დაეკისროს ამ პროცესის მეთვალყურეობა სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 13 აგვისტო.

შეიქმნა ახალი კონცერნი

გაიმართა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ახალი რესპუბლიკური კონცერნის დამფუძნებელი კონფერენცია. მისი დამფუძნებლები გახდნენ დარგობრივი რეგიონების შრომითი კოლექტივები, რომლებიც 50 ათასამდე კაცს ერთიანებდნენ. კოლექტივებმა ამ კონფერენციაზე გამოგზავნეს თავიანთი სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

განმარტა რა საინფორმაციო კორესპონდენტთან საუბრისას ახალი ორგანიზაციის შექმნის მიზეზები, კონცერნის პრეზიდენტმა ახლან ახაშიძემ თქვა:

— კონცერნის გაჩენა იმ ცვლილებებმა განაპირობა, დღეს რომ მიმდინარეობს ჩვენს საზოგადოებაში. ცხოვრება ამსხვრევს ხელოვნურად, გაუკითხავი გადაწყვეტილებით შექმნილ სტრუქტურებს, რომლებიც ბიუროკრატიული სისტემის წიაღში იშვა. ასე მოუვიდა სამინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსაც — სამინაო-კომუნალური ორი — სამინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს უეიღო „ქორწინების“ პირმშოს. ახალი ორგანო თვალსა და ხელს შუა ირღვეოდა. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ უკვე ამ გაზაფხულზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე დაასკვნეს: ექსპერიმენტს შედეგად მოპყავ „საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებული სამმართველოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მკვეთრი გაუარესება, მისი დონის დაქვეითება როგორც ქალაქად, ისე სოფლად“. და ამ თათბირზევე მიეცა დავალება საგეგმო კომიტეტს, ფინანსთა სამინისტროსა და სამინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მონაწილეობით საგანგებოდ შექმნილ კომისიას ეპოვა გამოსავალი პიკ-სიტუაციიდან.

— **რას მოუტანს კონცერნი იმათ, ვინც მის შექმნაში მონაწილეობდა, და იმათ, ვინც მიმართავს კონცერნის მომსახურებას მომავალში?**

— ადმინისტრირების ორგანოსგან განსხვავებით, როგორიც არის სამინისტრო, კონცერნი წარმოადგენს საწარმო-ორგანიზაციათა ნებაყოფლობითს გაერთიანებას, რომელსაც აქვს იურიდიული სტატუსი და თვითმმართველობის ორგანო. ეს არის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭო და მის მიერ არჩეული 9-კაციანი გამგეობა, რომელიც კოორდინაციას უწევს კონცერნის საქმიანობას კონფერენციებს შორის პერიოდში.

კონცერნს იმედი აქვს, რომ უკვე გაისიდან, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის შემდეგ, თავისი მობილურობის მეოხებით მიაღწევს რეალურ ეკონომიკურ წინსვლას, რისთვისაც ეფექტიანად გამოიყენებს მის განკარგულებაში დარჩენილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ჩვენ ავამოქმედეთ ყველა საშუალება, რა თქმა უნდა, კანონიერების ფარგლებში შესაძლებელს, — ბარტერულ ოპერაციებს, კომერციულ გარიგებებს, მათ შორის ერთობლივ საწარმოთა შექმნას და ა. შ. უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. ჩვენ, მაგალითად, შევუდექით მუშაობას, რათა ფინეთის საქციო საზოგადოება „ნამარ ოისთან“ ერთად შექმნათ ერთობლივი საწარმო „ფოლადი ჩრდილოეთ-სამხრეთი“. საზღვარგარეთელი პარტნიორების წვლილია ცხრა მილიონი დოლარი, ჩვენ ავაშენებთ მომსახურების სფეროს ობიექტებს, ,ბამოვუშვებთ არასტანდარტულ მოწყობილობას, რომელიც გაიყიდება როგორც მანეთებზე, ისე თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაზე. ამასთან ჩვენი წილი 65 პროცენტს შეადგენს. (საინფორმი).

საუბარი რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში

თბილისში სამ დღეს იმყოფებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დაგგემის საკითხთა სახელმწიფო მდივანი ლიონელ სტოლერიუ. იგი გაეცნო საქართველოს ცხოვრებას, დაათვალიერა მისი ღირსშესანიშნაობანი.

დაგეგმვის დარგის თვალსაჩინო ფრანგ სპეციალისტს შეხვდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ ვარძელაშვილი. მან გააცნო სტუმარს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობა, რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობა.

საუბრის დროს განიხილეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ახალი ეკონომიკური კონცეფციის შემუშავებაში საქართველოს მონაწილეობის საკითხები, ამასთან წამოჭრილი პრობლემები.

ბატონმა სტოლერიუმ განაცხადა, რომ ფრანგი სპეციალისტები მოწვეული არიან საბჭოთა კავშირში როგორც ექსპერტები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მომზადებაში. მან გამოთქვა თავისი მოსაზრებანი ამ მიმართულებით უპირველეს ამოცანებზე, კერძოდ, იმაზე, რომ საჭიროა გადაწყდეს ფასებისა და ფასწარმოქმნის, საკუთრების საკითხები, შეიქმნას, უწინარეს ყოვლისა, სერვისის მცირე საწარმოები, მიღებულ იქნეს მკაფიო კანონი გაკოტრების შესახებ, მოგვარდეს ურთიერთმოქმედება რესპუბლიკებს შორის, შეიქმნას საშინაო ბაზარი და ა. შ.

განიხილეს ქართველი სპეციალისტების მიერ ფრანგი კოლეგების გამოცდილების შესწავლის, საფრანგეთში პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები.

(საინფორმი).

დეპუტატთა ჯგუფის სამუშაო თათბირი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრ დეპუტატთა ჯგუფის მორიგი სამუშაო თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის ახალი პარლამენტის არჩევნების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული კანონპროექტების განხილვას.

სამივე კანონპროექტის გამო თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს დეპუტატებმა ო. გორდეზიანმა, ვ. ესვანჯიამ, ა. სანებიძემ, ნ. ვასაძემ, ი ხუციშვილმა, ნ. გურგენიძემ, ვ. ოკუჯავამ, დ. თევდორაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, ი. ნადირაძემ.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კანონპროექტები მეტად მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავენ და მოქმედ კანონთან შედარებით უთუოდ პროგრესულია. ამასთან გამოითქვა მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

თათბირზე ითქვა, რომ მაჟორიტარულ სისტემას, რომელიც საფუძვლად უდევს რიგით პირველ კანონპროექტს, მეტად მნიშვნელოვანი დადებითი მხარე აქვს. იგი საშუალებას აძლევს ამომრჩეველს გააკეთოს მისთვის სასურველი არჩევანი, ვინაიდან ამ სისტემით არჩევნების დროს კანდიდატები პერსონიფიცირებულ არიან, ამომრჩეველს საქმე აქვს უშუალოდ დეპუტატობის კანდიდატთან, უფრო ადვილად შეუძლია შეაფასოს მისი პოლიტიკური თუ საქმიანი თვისებები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როდესაც საარჩევნო კამპანიის ვადები მეტად შემჭიდროებულია, ამომრჩეველი, ფართო საზოგადოება ნაკლებად არის გაცნობიერებული, თუ რამდენი პარტია გვყავს, რომელი მათგანის პროგრამა უფრო მისაღებია მისთვის, რომელი უფრო გამოხატავს დღევანდელ საქართველოში არსებულ ვითარებას, უფრო გაბედულად იბრძვის დღევანდელი დღისათვის.

გარდა ამისა, ითქვა, რომ მეორე კანონპროექტი აგრეთვე შეიცავს მთელ რიგ დადებით დებულებებს, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა. ამიტომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა დააყენეს წინადადება გამოინახოს კანონპროექტთა შეჯერების გზები, რისთვისაც გათვალისწინებული იქნეს ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინადადებანი, სახალხო განხილვის შედეგად შემოსული შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა შენიშვნები და სურვილები. (საინფორმი).

საქანონმდებლო განზრახულობათა კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის სხდომა. სხდომის დღის წესრიგში იდგა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მომავალ, რიგგარეშე სესიაზე განსახილველად გასატანი საკითხი — რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების კანონპროექტების შესახებ.

კანონპროექ

რომელ კანონპროექტს ვამჯობინებთ?

მრავალპარტიული არჩევნები და მრავალპარტიულობის პრობლემები?!

საქართველოში ბოლო 72 წლის მანძილზე საარჩევნო სამართალი პირველად იძენს კეთილ მნიშვნელობას — ხდება პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობის რეალური სუბიექტი. რესპუბლიკური პარტიების საქმიანობისა და საარჩევნო სისტემის ფუნქციონირებას შორის საფუძველი ეყრება მტკიცე ურთიერთკავშირის დამყარების აუცილებლობას. მომავალმა არჩევნებმა უნდა უკუაგდოს ერთპარტიული მართვის დამკვიდრებული სისტემა და ხელი შეუწყოს პარტიების აქტიურ შეჭრას სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში.

საქართველოს საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ივნისის რიგგარეშე სესიამ მიმდინარე წლის 28 ოქტომბერი არჩევნების დღედ გამოაცხადა. ამ თარიღს იურიდიულად საჭირო მნიშვნელობა ჯერაც არ შეუძენია. მრავალპარტიულ საარჩევნო სამართლებრივ ურთიერთობებს 17 აგვისტოს სესიიმ უნდა ჩაუყაროს საფუძვლები. მიუხედავად აღნიშნულისა, წინასაარჩევნო პოლიტიკური ბატალიები დიდი ხანია დაიწყო. ცალკეული პარტიების მიერ არჩეული მომავალი საქმიანობის კრედო თუ მიმდინარე აქციები გარკვეულად განაწყობს ამომრჩევლებს პარტიათა მიმართ.

მომავალი არჩევნები, რომლის კონტურებიც ამჟამად იკვეთება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ დიდი სირთულეების მომტანიც. ახალგაზრდა პარტიების სიმრავლე, ამომრჩეველთა პოლიტიკური მოუმზადებლობა, არჩევნებამდე დარჩენილი უაღრესად შეზღუდული დრო და მთელ რიგ გაუთვალისწინებელ საკითხთა წრე შესაძლოა გახდეს ამომრჩეველთა კორპუსის დაქსაქსვის, ხმების დაკარგვის, საარჩევნო უფლებათა გამოყენებაში შემთხვევითობის, არჩევნებისადმი ბოიკოტისა და გულგრილი დამოკიდებულების საფუძველი.

მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების, მრავალპარტიული საარჩევნო პრაქტიკისა და რესპუბლიკის ამომრჩეველთა პოლიტიკურ-სამართლებრივი ჩვევების ურთიერთშერწყმის საფუძველზე. ეს არის სამი ერთარსი ამოცანა, რომელთა სინთეზიც საარჩევნო კანონმა უნდა განახორციელოს. დასამალი არაა, რომ ამ პრობლემებით დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა რთულად მიმდინარეობს. აქ მიღწეული სამართლებრივი ცნობიერების კონსოლიდაცია ბევრად განაპირობებს წინასაარჩევნო, საარჩევნო თუ საპარლამენტო საქმიანობის სტაბილურობის დონეს.

რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის საკითხი არაერთხელ დააყენა, მაგრამ ყველა პარტია თუ პარტიათა კავშირი ეროვნულ თანხმობას საკუთარ პლატფორმაზე გვთავაზობს. ეს, ნუ მიწყენთ და, მრავალპარტიულობის პირობებში აბსურდია. ასეთი ვითარების მიზეზთა მიზეზი ძირითადად პარტიულ ამბიციებსა და დიქტატებზე იგება. პარტია თავის პოზიციას მიიჩნევს ერთადერთ და მართებულ პლატფორმად ისე, რომ ხალხის აზრს, ხალხის ნებას არ ითვალისწინებს. ეტყობა, ახალგაზრდა პარტიებს ეს ავადმყოფური ამბიციები კომპარტიის არსებობის 70-წლიანმა გასახელმწიფოებულმა ისტორიამ დაუტოვა. დღესაც ფართოდაა გავრცელებული კონცეფცია „ზეპარტიული“ სახელმწიფოს უარყოფის შესახებ. საბჭოური პოლიტოლოგია ზანტად თმობს პარტიაზე მაღლა მდგომი სახელმწიფო სისტემის კრიტიკის პოზიციებს. იგივე იგრძნობა პრაქტიკაშიც.

ერის კონსოლიდაციის საფუძველს მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი სახელმწიფო ორგანო იძლევა. განსაკუთრებული პირობები ამ მხრივ მხოლოდ ამჟამად ყალიბდება — ამომრჩეველთა ნების სრულფასოვანი გამოხატვის საერთო სურვილი უნდა გახდეს მრავალპარტიულ არჩევნებში სახელმწიფო კონსოლიდაციისკენ მიმავალი გზის დასაწყისი. ამ მომენტის უგულებელყოფა ან პარტიკულარული დამოკიდებულება მისდამი კვლავაც შეუძლებელს გახდის არსებული განხეთქილების ნიადაგზე წარმოშობილი ბიპოლიზებული საზოგადოების გამთელებას. ამ ცხოვრებისეული სინამდვილის უარყოფა არავის არ აძლევს ხელს, გარდა მესამე ძალისა.

ამჟამად იკვეთება ტენდენცია, რომლის საფუძველზეც მრავალპარტიული არჩევნები შეიძლება იქცეს არა პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაუთვალისწინებელი სამრავლის, არამედ პოლიტიკურ ძალთა საარჩევნო ბლოკებად დაჯგუფების გარანტად. ბლოკური წინასაარჩევნო კონსოლიდაციისაკენ მოძრაობა მისასალმებელი და უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება შემდინარე წინასაარჩევნო მზადების პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც პოლიტიკური პლურალიზმი მრავალპარტიულობაში ვლინდება არჩევნების მოახლოების დროს, ეს პლურალობა ვლინდება უმეტესად რამდენიმე ბლოკად ჩამოყალიბებით (საფრანგეთი, შვეიცია, ნორვეგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ა. შ.) მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენს სინამდვილეში იგი ახალ პრობლემებს გაუჩენს ჩვენს ამომრჩეველს, ხელს ვერ შეუწყობს ამომრჩეველთა კორპუსის დაქსაქსულობის თავიდან აცილებას, პარტიაზე ადვილ ორიენტაციასა და მთელი რიგი სხვა საკითხების რაციონალურად გადაწყვეტას. ამიტომ პარტიათა ახალ-ახალ დაჯგუფებებს მათი მოქმედების განახლებულ პროგრამებს, ვფიქრობთ, ვერ გასწვდება წინასაარჩევნო აგიტაციის შეზღუდული დრო. ამდენად ბლოკში შემავალი პარტიები იძულებული გახდებიან პროპაგანდისტული სიმძიმის ცენტრი პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებზე გადაიტანონ. ამას დასჭირდება საარჩევნო სისტემის შესაბამისი წესი, არჩევნების იურიდიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მისაღები მოდელი.

რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ?

გამოქვეყნებულია კანონპროექტის სამი ვარიანტი. ამ კანონპროექტთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი დაკავშირებულია საარჩევნო სისტემის იურიდიულ მექანიზმთან.

რას ნიშნავს საარჩევნო სისტემა და რა თავისებურებები შეიძლება ახასიათებდეს მას?

სამეცნიერო ლიტერატურაში საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალპარტიულ პრინციპებზე აგებულ საარჩევნო სამართალს ყოფენ ორ შემადგენელ ნაწილად: დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება-მოვალეობათა სფეროდ და საარჩევნო ოლქების ფორმირებისა და ამომრჩეველთა ხმების დათვლის მოქმედ სისტემად. საარჩევნო ოლქებისა და ხმების განაწილების (დათვლის) წესს უწოდებენ საარჩევნო სისტემას. საარჩევნო სისტემის მისაღები მოდელის შერჩევა გახდა დღეს ძირითადი დავის საგანი არჩევნების ბედით დაინტერესებულ მხარეებს შორის. შევეხოთ ამ პრობლემებს.

საარჩევნო სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა ოლქების ფორმირების წესი, გულისხმობს ერთმანდატიან, მრავალმანდატიან, შერეულ და სხვა სახის საარჩევნო ოლქების ფორმირების თავისებურებებს. ოლქების შექმნის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ხმების დათვლის მოქმედ სისტემას. საარჩევნო პრაქტიკა იცნობს მაჟორიტარულ, პროპორციულ და ამომრჩეველთა ხმების შერეული დათვლის წესებს. ყოველთვის მნიშვნელოვანია საკითხი ოლქების ფორმირების წესისა და ხმების დათვლის სისტემის რაციონალური ურთიერთშეთავსების შესახებ.

ბოლო პერიოდში აღნიშნულ საკითხებზე ბევრი დაიწერა რესპუბლიკურ პრესაში. აქ საყურადღებო ისაა, რომ ავტორთა ნაწილი გადაჭრით უარყოფს ხმის დათვლის მაჟორიტარულ წესს, ხოლო მეორე ნაწილი ასევე გადაჭრით ანიჭებს უპირატესობას პროპორციულ სისტემას — განსაკუთრებით მის იდეალურ ვარიანტებს და მოითხოვს მის კალკირებას. ასეთი პრინციპული მტკიცების საფუძველს სრულიადაც არ იძლევა მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების საარჩევნო გამოცდილება. პირიქით, თუ დემოკრატიულად სრულყოფილი ქვეყნის ეტალონად ავიღებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვნახავთ, რომ აქ წარმატებით გამოიყენება ' ამომრჩეველთა ხმების დათვლის მაჟორიტარული წესი. ეს წესი მოქმედებს აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა. მაგალითად, ინგლისში გამოიყენება ხმების დათვლის შედარებითი უმრავლესობის წესი. აქ დეპუტატად არჩევისათვის საკმარისია მხოლოდ შედარებით მეტი ხმების რაოდენობა, ვიდრე მიიღებენ ამ ოლქში დასახელებული სხვა დეპუტატობის კანდიდატები ცალ-ცალკე. ამ დროს პარტიების მიერ მიღებული მანდატების რიცხვი აბსოლუტურად არ შეესაბამება მათ მიერ მოპოვებული ხმების საერთო რაოდენობას. ამიტომ თეორეტიკოსები მას განიხილავენ როგორც უკიდურესად არადემოკრატიულ სისტემას, თუმცა კი დიდი ბრიტანეთის საარჩევნო პრაქტიკაში იგი საკმაოდ დემოკრატიულად მოქმედებს.

აღნიშნული, ერთი შეხედვით არადემოკრატიული, წესის რეალური მოქმედების დემოკრატიულ ბუნებას განაპირობებს ინგლისელი მოსახლეობის საქვეყნოდ ცნობილი მაღალი სამართლებრივ-პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო ტრადიციები. ჩვენ კი შორსა ვართ მისგან. ანდა რა პოლიტიკურ-სამართლებრივ ჩვევებსა თუ ტრადიციებზე „შეიძლება ვილაპარაკოთ კანონმდებლობის არასტაბილურობისა და ფორმალურობის პირობებში. მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ძირითადი კანონიც კი არაერთხელ შევცვალეთ და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. ამიტომ, როგორც გეჯირდეს — ისე გილხინდესო, უთქვამს ბრძენ კაცს, და უნდა დავუჯეროთ. ისე უნდა მოვიგოთ საბანი, როგორც გაგვწვდება. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

პრეტენზია საარჩევნო მოდელის იდეალურ ვარიანტზე საფუძველშივე არასწორია და ამდენად (ან ამომრჩეველთა ჯგუფები) ასახელებენ თითო დეპუტატობის კანდიდატს კონკურენტ საარჩევნო ოლქებში და იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს 50 პროცენტზე მეტ ხმას. ამომრჩეველთა ხმების დანარჩენი ნაწილი მანდატების განაწილებაში არ ფიგურირებს — იკარგება. მასთან ერთად იკარგება ამომრჩეველთა ნების გათვალისწინების შესაძლებლობა პარტიათა შორის მანდატების განაწილების დროს. კერძოდ, საკმარისია არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე პარტიამ (და ეჰვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ეს ასეც იქნება), მაშინ პირველ ტურში არჩევნები შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ რამდენიმე ოლქში. ოლქების აბსოლუტურ უმრავლესობაში საჭირო გახდება მეორე ტურის ჩატარება, სადაც საკმარისია ამომრჩეველთა მხოლოდ 25 პროცენტის მონაწილეობა (იხ. პირველი კანონპროექტის 50-ე მუხლი) ამ შემთხვევაში დეპუტატად „არჩევისათვის საკმარისია მონაწილეთა ნახევარზე მეტი, ე. ი. რესპუბლიკის ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 13 პროცენტი. ასეთ ვითარებაში გამოვა, რომ საქართველოს პარლამენტი არჩეული იქნება ამომრჩეველთა მხოლოდ 13 პროცენტის მიერ, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის 7-8 პროცენტს უტოლდება!

ხმების პროპორციული წესით განაწილების შემთხვევაში კი ამომრჩეველთა ხმების 51 პროცენტით არჩეული კანდიდატის საწინააღმდეგო ხმებიც მიიღება. მხედველობაში და ჯამდება რესპუბლიკის (ან ოლქის) მასშტაბით. მანდატების განაწილების დროს პარტია მიიღებს იმ რაოდენობის ხმებს, რა პროცენტიც იქნა მიეცემული გამარჯვებული კანდიდატის (პარტიის) საწინააღმდეგოდ. აღნიშნული მომენტი მხედველობაშია მისაღები, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური მიზნებითაც — პარლამენტს გარეთ ოპოზიციაში დარჩენილი კანდიდატების (პარტიების) პოზიციათა შესუსტების, სახელმწიფო ხელისუფლების პროპორციული დანაწილების უზრუნველყოფისა და პოლიტიკური ვითარების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით.

2. გამოქვეყნებული კანონპროექტის მეორე ვარიანტში წამოყენებულია საარჩევნო სისტემის სრული „ევროპეიზაციის“ იდეა. იგი სანახევროდ იზიარებს ერთმანდატიან ოლქებში პარტიების მიერ კანდიდატთა პერსონალური წარდგენის პრინციპს, ხოლო ნახევარი მანდატების განაწილებას მოითხოვს საერთო პარტიული სიების საფუძველზე.

რას ითვალისწინებს ეს უკანასკნელი?

პარტიების რესპუბლიკური ორგანოები ცალკეულ ოლქებში პერსონალურად დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებთან ერთად წარადგენენ აგრეთვე არანაკლებ 100-კაციან ე. წ. საერთო პარტიულ სიებს. ამომრჩეველს ასეთ შემთხვევაში ეძლევა ორი სახის ბიულეტენი: ერთში შეტანილია პარტიებისა და ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ დასახელებული კონკრეტული დეპუტატობის კანდიდატები, ხოლო მეორეში იმ პარტიათა სახელწოდებები, რომელთაც წარადგინეს 100-კაციანი სიები. ამომრჩეველი ერთ ბიულეტენში ხმას აძლევს ერთ კონკრეტულ კანდიდატს, ხოლო მეორეში 100-კაციანი სიის წარმომდგენ პარტიას. ამ დროს ამომრჩეველმა უნდა შეძლოს ას-ასკაციანი სიებიდან, დავუშვათ, ათი პარტიის ათასკაციან სიიდან უპირატესობა მისცეს ერთ-ერთ მათგანს და ბიულეტენში შემოხაზოს იმ პარტიის დასახელება, რომელსაც ეკუთვნის ეს სია. ამავე დროს ამომრჩეველი ვალდებული ხდება ამ სიათა ერთობლიობას მიუსადაგოს ამ სიის წარმომდგენი პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმისა და საქმიანობის ძირითადი პოზიციები.

აღნიშნული კანონპროექტის ოპონენტებს მიგვაჩნია, რომ: 1) ას-ასკაციანი პარტიული სიების შემოტანამ საარჩევნო ურთიერთობაში შესაძლოა დაიბნიოს ასეთ წესს მიუჩვეველი ამომრჩეველი, გაუჭირდეს ორიენტაცია და ხმა მისცეს გაუთვითცნობიერებლად; 2) საერთო პარტიულ სიათა სიმრავლის დროს იმუშავებს სიაში პირველი ადგილის პრინციპი, რადგან კანდიდატთა პერსონიფიცირების ჩვევებზე აღზრდილი ამომრჩეველი ვერ შეძლებს თუნდაც ათასკაციან სიაში კანდიდატთა იმ ჯგუფის მოძებნას, რომლის საშუალებითაც მისცემს უპირატესობას პარტიულ სიას — პარტიას; 3) ნუ მიწყენენ პარტიათა ხელმძღვანელნი, თუ ვიტყვი, რომ შეზღუდულ წინასაარჩევნო პერიოდში ცალკეულ პარტიებზე (მით უმეტეს ბლოკებზე) ამომრჩეველთა ორიენტაცია უაღრესად გაჭირდება. აღნიშნული და სხვა შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხები გამოიწვევს შემთხვევითობას არჩევანში, რაც ყოვლად მიუღებელია როგორც დემოკრატიული საარჩევნო ოლქი. კონკრეტული რაიონი (ქალაქი) წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს რამდენიმე (2-დან 10-მდე) მანდატით. დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია ოლქში მხოლოდ ერთი მანდატის მიღება (იხ. კანონპროექტის 45-ე მუხლის მესამე ნაწილი). არჩეულად ჩაითვლება ის დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს ხმების მეტ რაოდენობას ვიდრე მოცემულ ოლქში დასახელებული სხვა დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 20 პროცენტისა. ასე რომ, მხოლოდ დამოუკიდებელ კანდიდატებს შორის ხდება მანდატების განაწილება ადგილებზე (ოლქებში) მაჟორიტარული წესით. მანდატების ის რაოდენობა, რომელსაც ვერ მიიღებენ დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები, ნაწილდება პარტიებს შორის. უკეთეს შემთხვევაში ადგილზე შეიძლება დარჩეს მაქსიმუმ 80 მანდატი. პარტიებს ყველა შემთხვევაში გასანაწილებლად რჩებათ არანაკლებ 221 მანდატისა. ეს უკანასკნელი პარტიებს შორის ნაწილდება შემდეგი თანამიმდევრობით:

მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პარტიები წარადგენენ 2-დან 10-კაციან სიებს, გათვალისწინებით იმისა, თუ რამდენ მანდატიანია ოლქი. ამომრჩეველი ხმას აძლევს კონკრეტულ დეპუტატობის კანდიდატს. ეს ხმები ეთვლება პარტიას (აქ, ჩვენი აზრით, აჯობებდა ამომრჩეველს ხმა მიეცა უშუალოდ პარტიისათვის და არა პიროვნებისათვის, ხოლო დასახელებული კანდიდატის არჩევის საკითხი გადაწყვეტილიყო პრინციპით — ვინც პირველია ოლქში წარდგენილ პარტიულ სიაში).

ცენტრალური საარჩევნო კომისია პიროვნებების (პარტიების) მიერ ოლქში მიღებული ხმების შეკრების საფუძველზე ადგენს პარტიის მიერ მიღებული ხმების საერთო ჯამს მთელ რესპუბლიკაში. თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმები იყოფა საერთო გამყოფზე. რამდენი საერთო გამყოფიც შევა ცალკეული პარტიის მიერ მოგროვებულ ხმათა საერთო რაოდენობაში, იმდენი მანდატი მიეკუთვნება პარტიას (საერთო გამყოფის გამოანგარიშების წესი მოცემულია კანონპროექტის 45-ე მუხლში). შეიძლება პარტიამ თვითონ გადაწყვიტოს, თუ კონკრეტულად რომელ დეპუტატობის კანდიდატს მისცეს მანდატი. შეიძლება აგრეთვე მანდატი მიეცეს იმ დეპუტატობის კანდიდატს, რომელიც ბლოკში პარტიის მიერ წარდგენილ სიაში, კანონპროექტის შემოთავაზებულ ვარიანტში მანდატი მიეკუთვნებათ იმ დეპუტატობის კანდიდატებს, რომელთა მეტი ხმები შესძინეს პარტიას კონკრეტული ოლქის გათვალისწინებით.

გარდა ყოველივე აღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ კანონპროექტი კომპაქტურია (9 თავი და მხოლოდ 51 მუხლი) და ადვილად მისაწვდომია ფართო საზოგადოებრიობისათვის; ხმის მისაცემად საჭიროა მხოლოდ ერთი ბიულეტენი, რაც აადვილებს ოლქში წარმოდგენილ კანდიდატთა არჩევას პარტიულობისა და პერსონალური თვისებების გათვალისწინებით; საჭირო აღარ იქნება არჩევნების განმეორებითი ტური, გარდა არჩევნების ჩაშლის ან მისი შედეგების გაუქმების შემთხვევისა; მცირდება არჩევნების საერთო ხარჯები და სხვა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა წინასაარჩევნო ურთიერთშემხვედრ დათმობათა საფუძველზე უნდა შეძლონ ურთიერთმისაღები საარჩევნო მოდელის შემუშავება, რომელიც თანაბრად განაწყობს მთელ მონაწილეობის სურვილით, შექმნის პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ერის საერთო აზრის შეპირაპირების წინასაპარლამენტო ვითარებას.

მომავალმა არჩევნებმა პოლიტიკური ძალებისა და ამით ერის სტრთო აზრის „გასახელმწიფოებრიობის“ გარანტია უნდა შექმნას, რადგან ცალკეულ პარტიას ეძლება სახელმწიფო ენაზე ლაპარაკის ხმათა ის უფლება, რომელსაც რესპუბლიკის ამომრჩეველთა მხრიდან მიიღებს. საკითხის ასეთმა მსჯელობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოხსნას პარტიათა ერზე ბატონობის დიქტატორული ამბიციები და ელაპარაკოს ერს იმ უფლებათა ფარგლებში და იმ ვოტუმით (რწმუნებით), რომელსაც ერისგან, ერისუფლიკის ამომრჩეველებისაგან მიიღებს.

წინასწარვე უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ თვით არჩევნებში გამარჯვებული პარტიაც კი ყოველთვის ვერ მოახერხებს თავისი საპარლამენტო მიზნების გასახელმწიფოებრიობას უკორექტივოდ, რადგან საპარლამენტო პარტიათა ოპოზიცია „არ თვლემს“. ამიტომ ამომრჩეველთა კორპუსმა, არჩევნებში მონაწილეობის მსურველმა პარტიებმა, ყოველმა ჩვენგანმა დღესვე უნდა განსაზღვროს, რომ საპარლამენტო დაჯგუფებათა ოპოზიციური მუშაობის ნიადაგზე მოსალოდნელია დადგეს ძლიერი საპარლამენტო ორიენტაციის ან საპარლამენტო პარტიის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. დამოუკიდებელი საპარლამენტო პარტიის ჩამოყალიბება და მასი რადიკალური თუ ლიბერალური პლატფორმა ბევრად იქნება განპირობებული მმართველი (არჩევნებში გამარჯვებული) პარტიის უმრავლესობის პოზიციით პარლამენტში. აქ კონსერვატიული ნაციონალიზმი დაბადებს რადიკალურ ექსტრემიზმს და, პირიქით, ეს კი რთული პოლიტიკური კონფლიქტების მიზეზი შეიძლება გახდეს. პარტიათა საპარლამენტო წარმომადგენლობა, რომელიც შექმნის ხელისუფლებას, ჩამოაყალიბებს მთავრობას. წინასაარჩევნო პერიოდიდანვე თავისი კონკურენტი პარტიის წარმომადგენელში მხოლოდ საერთო ეროვნული მოძრაობის მეკავშირეს უნდა ხედავდეს და არა მოქიშპეს. ერის დამოუკიდებლობის საკითხი ყველას ერთნაირად აღელვებს, მაგრამ ყველას მისი განხორციელების თავისი თვალთახედვა აქვს, და არ შეიძლება იგი საარჩევნო კამპანიის პერიოდში მომავალი საპარლამენტო კონფრონტაციის წინამძღვრად ვაქციოთ.

ეროვნული თანხმობის საერთო სურვილს საარჩევნო მზადების პერიოდიდანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. პარლამენტი არ უნდა იქცეს პარტიულ-ჯგუფური ინტერესებისა და ქიშპობის ქარბიელად (საქართველოს ისტორიაში, საუბედუროდ, ბევრია ჯგუფური ქიშპობის მაგალითები). დღეს ისტორიული განვითარების ისეთი პერიოდი დაუდგა საქართველოს, რომ, თუ ვერ დავძლიეთ პარტიულ-ჯგუფური ამბიციები, შეიძლება ერის სახელმწიფოებრივი განვითარების მომავალი ჩიხში მოექცეს. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია ამაღლდეს ეროვნული ინტერესების სიმაღლემდე, რათა ხალხისა და ერის საერთო ინტერესები პარტიულ-ჯგუფური ქიშპობის გამოისობით მეორე პლანზე არ აღმოჩნდეს.

ტარიელ კულულაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება რესპუბლიკის ბავშვთა ფონდში.

ჩემი პარტია საქართველოა

დასაწყისშივე, თავიდან რომ ავიცილოთ რაიმე გაუგებრობა და ორაზროვნობა, პირდაპირ და სრულიად მკაფიოდ ვიტყვი: არჩევნები უნდა მოიწყოს ყოველგვარი პარტიული სიების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულად და ინდივიდუალურად, რაც საშუალებას მოგვცემს მივუახლოვდეთ უზენაესი საბჭოს შემადგენლობის იდეალურ ვარიანტს.

შევიცავი მოვიყვანო შესაფერისი არგუმენტები:

1. ქართველი ხალხი ძირითადად არ იცნობს იმ მრავალრიცხოვან პარტიებს, რომლებიც საქართველოში მომრავლდნენ. ამასთან დაკავშირებით, ადამიანები სრულიად ლოგიკურ კითხვებს აყენებენ: რა ხდებაა საჭირო ამდენი და თანაც ერთსახა პარტიები? განა ეს ხელს უწყობს ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციას, შემჭიდროებას და ჩვენს ერთიანობას? რატომ არის მათ შორის ქიშპი?

2. ფაქტია, რომ ეროვნულ მოძრაობას მიეტანა უამრავი ზიანი. ბნელი წარსულის მქონე პიროვნება, რომლის მთელი „მოღვაწეობა“ ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ იდეას, პირადი მიზნებითაა განპირობებული, ამიტომაც არის, რომ ეროვნულ მოძრაობაში შეინიშნება ისეთი ნაბარცქვინა და დანაშაულებრივი ფაქტები, როგორიცაა ფულის გამოძალვა, შანტაჟი, დაშნუბა, უკანონო აქციები, პიროვნების უფლებების ფეხქვეშ გათელვა და ა. შ.

3. არც ერთ პარტიას დღემდე არ დაუმტკიცებია ავტორიტეტი ქართველი ხალხის წინაშე, არც თავის თეორიული პოზტულატებით და, მით უფრო, პრაქტიკული საქმიანობით. გამონაკლისს წარმოადგენენ ერთეული პიროვნებები, მაგრამ ეს ისევ არ ნიშნავს, რომ არჩევნებში ხალხმა ხმა უნდა მისცეს ამ პარტიების ყველა წევრს.

4. ლოგიკურია დავსვათ ასეთი კითხვა: სად არიან ქართველი ხალხის ღირსეული შვილები, ანუ ისინი, ვინც ღირხაა ავირჩიოთ საქართველოს პარლამენტში? განა ისინი ხოკობიავით მომრავლებულ პარტიულ სიებში უნდა ვეძებოთ?

ფაქტია, რომ ინტელიგენციის სწორედ ეს ნაწილი არ არის გაერთიანებული ამ პარტიებში.

აქედან დასკვნა: პარტიული სიებით არჩევნები დაღუპავენ საქართველოს.

ახლა ხშირად მოისმენთ აგიტაციას იმის შესახებ, რომ მაჟორიტარული (ანუ პიროვნული) არჩევნები არ არის დემოკრატიული, ვინაიდან იკარგება უმცირესობის ხმებიო. ჩემი აზრით, ეს გაუგებრობაა და მის ქვეშ იმალება საკუთარი მიზნების მისაღწევად ყველა ხერხის და მეთოდის ხმარების გამართლების ცდა.

ცნობილია, რომ არათუ საზოგადოებაში, არამედ ერთ ოჯახშიც კი ხშირად აზრი იყოფა, მაგრამ განა ეს ფაქტი იმის საბაბი უნდა გახდეს, რომ ჯანსაღ გადაწყვეტილებას, იქვე ოპოზიცია შევუქმნათ? ახლი პოლიტიკა მოგვიტანს კონსოლიდაციას? განა ხმების და ძალების ახალი დაქსაქსულობა მოგვიტანს სრულფასოვან პარლამენტს? რაოდენ შეწყობილად იმღერებს ახალი გუნდი?

ამასთან დაკავშირებით, მე ვთხოვ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, რათა არ მიიღონ უმრავლესობა გადაწყვეტილება ანუ ხმა არ მისცენ მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების კომბინაციას.

5. ერის კონსოლიდაციის საფუძველს მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი სახელმწიფო ორგანო იძლევა. განსაკუთრებული პირობები ამ მხრივ მხოლოდ ამჟამად ყალიბდება — ამომრჩეველთა ნების სრულფასოვანი გამოხატვის საერთო სურვილი უნდა გახდეს მრავალპარტიულ არჩევნებში სახელმწიფო კონსოლიდაციისკენ მიმავალი გზის დასაწყისი. ამ მომენტის უგულებელყოფა ან პარტიკულარული დამოკიდებულება მისდამი კვლავაც შეუძლებელს გახდის არსებული განხეთქილების ნიადაგზე წარმოშობილი ბიპოლიზებული საზოგადოების გამთელებას. ამ ცხოვრებისეული სინამდვილის უარყოფა არავის არ აძლევს ხელს, გარდა მესამე ძალისა.

ამჟამად იკვეთება ტენდენცია, რომლის საფუძველზეც მრავალპარტიული არჩევნები შეიძლება იქცეს არა პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაუთვალისწინებელი სამრავლის, არამედ პოლიტიკურ ძალთა საარჩევნო ბლოკებად დაჯგუფების გარანტად. ბლოკური წინასაარჩევნო კონსოლიდაციისაკენ მოძრაობა მისასალმებელი და უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება შემდინარე წინასაარჩევნო მზადების პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც პოლიტიკური პლურალიზმი მრავალპარტიულობაში ვლინდება არჩევნების მოახლოების დროს, ეს პლურალობა ვლინდება უმეტესად რამდენიმე ბლოკად ჩამოყალიბებით (საფრანგეთი, შვეიცია, ნორვეგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ა. შ.) მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენს სინამდვილეში იგი ახალ პრობლემებს გაუჩენს ჩვენს ამომრჩეველს, ხელს ვერ შეუწყობს ამომრჩეველთა კორპუსის დაქსაქსულობის თავიდან აცილებას, პარტიაზე ადვილ ორიენტაციასა და მთელი რიგი სხვა საკითხების რაციონალურად გადაწყვეტას. ამიტომ პარტიათა ახალ-ახალ დაჯგუფებებს მათი მოქმედების განახლებულ პროგრამებს, ვფიქრობთ, ვერ გასწვდება წინასაარჩევნო აგიტაციის შეზღუდული დრო. ამდენად ბლოკში შემავალი პარტიები იძულებული გახდებიან პროპაგანდისტული სიმძიმის ცენტრი პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებზე გადაიტანონ. ამას დასჭირდება საარჩევნო სისტემის შესაბამისი წესი, არჩევნების იურიდიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მისაღები მოდელი.

რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ?

გამოქვეყნებულია კანონპროექტის სამი ვარიანტი. ამ კანონპროექტთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი დაკავშირებულია საარჩევნო სისტემის იურიდიულ მექანიზმთან.

რას ნიშნავს საარჩევნო სისტემა და რა თავისებურებები შეიძლება ახასიათებდეს მას?

სამეცნიერო ლიტერატურაში საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალპარტიულ პრინციპებზე აგებულ საარჩევნო სამართალს ყოფენ ორ შემადგენელ ნაწილად: დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება-მოვალეობათა სფეროდ და საარჩევნო ოლქების ფორმირებისა და ამომრჩეველთა ხმების დათვლის მოქმედ სისტემად. საარჩევნო ოლქებისა და ხმების განაწილების (დათვლის) წესს უწოდებენ საარჩევნო სისტემას. საარჩევნო სისტემის მისაღები მოდელის შერჩევა გახდა დღეს ძირითადი დავის საგანი არჩევნების ბედით დაინტერესებულ მხარეებს შორის. შევეხოთ ამ პრობლემებს.

საარჩევნო სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა ოლქების ფორმირების წესი, გულისხმობს ერთმანდატიან, მრავალმანდატიან, შერეულ და სხვა სახის საარჩევნო ოლქების ფორმირების თავისებურებებს. ოლქების შექმნის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ხმების დათვლის მოქმედ სისტემას. საარჩევნო პრაქტიკა იცნობს მაჟორიტარულ, პროპორციულ და ამომრჩეველთა ხმების შერეული დათვლის წესებს. ყოველთვის მნიშვნელოვანია საკითხი ოლქების ფორმირების წესისა და ხმების დათვლის სისტემის რაციონალური ურთიერთშეთავსების შესახებ.

**ბოლო პერიოდში აღნიშნულ საკითხებზე ბევრი დაიწერა რესპუბლიკურ პრესაში. აქ საყურადღებო ისაა, რომ ავტორთა ნაწილი გადაჭრით უარყოფს ხმის დათვლის მაჟორიტარულ წესს, ხოლო მეორე ნაწილი ასევე გადაჭრით ანიჭებს უპირატესობას პროპორციულ სისტემას — განსაკუთრებით მის იდეალურ ვარიანტებს და მოითხოვს მის კალკირებას. ასეთი პრინციპული მტკიცების საფუძველს სრულიადაც არ იძლევა მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების საარჩევნო გამოცდილება. პირიქით, თუ დემოკრატიულად სრულყოფილი ქვეყნის ეტალონად ავიღებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვნახავთ, რომ აქ წარმატებით გამოიყენება ' ამომრჩეველთა ხმების დათვლის მაჟორიტარული წესი. ეს წესი მოქმედებს აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა. მაგალ

რომელ კანონპროექტს ვამჯობინებთ?

საქართველო რეალური განახლების გზას ადგას, განახლებულ რესპუბლიკას თვისებრივად ახალი საარჩევნო კანონი სჭირდება, რომელიც ასევე თვისებრივად ახალი პარლამენტის შექმნის საშუალებას მოგვცემს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებით უნდა მოვისმინოთ ნებისმიერი ჯანსაღი აზრი, გულისყურით გავაანალიზოთ წამოყენებული წინადადებები და მივაგნოთ საარჩევნო კანონის სწორედ იმ ერთადერთ ვარიანტს, რომელმაც საბოლოოდ კანონის ძალა უნდა შეიძინოს. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საარჩევნო კანონის სრულყოფის გზაზე გადადგმული თითოეული ნაბიჯი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს. როგორც კოლიტიკური, ისე ეკონომიკური პოთხოვნებს. ეს კი ყოველმხრივ აწონ-დაწონილ და გააზრებულ მოქმედებას მოითხოვს. მაშ, ჩვენს გულისხმევას ნუ მოვაკლებთ ახალი საარჩევნო კანონის შექმნას, და დარწმუნებული ვარ, რომ მისი საშუალებით შექმნილი დღეისთვის საჭირო ისეთ კომპეტენტურ, მოშუშავე პარლამენტს, რომელიც შეძლებს გააკეთოს ის, რაც მომავალში სარგებლობას მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას.

ყოველივე ამის გამო, ჩემი მოსაზრებანი მინდა გაგიზიარო. წარმოდგენილი პირველი საარჩევნო კანონპროექტის ცალკეულ დებულებებზე.

თვისებრივ სიახლეთა ნიშნით

დავიწყოთ კანონპროექტის მე-8 მუხლით. ამ შემთხვევაში მე მიმაჩნია, რომ ამ მუხლის ალტერნატიული წინადადება ძირითადად შედარებით უფრო გამართულია და, თუ გნებავთ, უფრო გამართლებულიც, მხოლოდ ერთი შესწორებით — თუ მას ჩამოვაშორებთ ბოლო წინადადებას „ამომრჩეველთა ჯგუფების განცხადების წარდგენის გზით“. ამ შესწორების გათვალისწინებით მე-8 მუხლი ასეთ შინაარსს შეიძენდა: „საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში დეპუტატთა კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს, მათს საარჩევნო ბლოკებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“.

ვეცდები განვმარტო, რატომ არ ვთვლიდ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების დასახელებას ამომრჩეველთა ჯგუფების განცხადების წარდგენის გზით. თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, ეს გზა გამოუსადეგარია, რადგან კონტროლს ძნელად დაექვემდებარება და უმართავი იქნება. ამის წინამძღვრები უზენაესი 34-ე მუხლის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 აბზაცებში. ეს შეუძლია გააკონტროლოს, რომ ხელმოწერები არ შეგროვდეს ჯგუფის წევრთა სამუშაო საათების დროს, ანდა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამუშაო საათების დროს, ან კიდევ საზოგადოებრივ ტრანსპორტში. თუ ჩვენს, ქართულ ზასიათს გავითვალისწინებთ, სწორედ ამ რეციდივებთან გვექნება საქმეობა, ერთი მოვსინჯოთ, 100 ხელმოწერიდან როგორი დასადგენია 5-პროცენტიანი სიყალბე, ანდა ძალდატანება ხელის მოწერაზე. ამის თაობაზე გაუთავებელ საჩივრებს ვერც ერთი საარჩევნო კომისია ვერ აუვლ. ნათქვამის დასადასტურებლად ყურადღებას შევაჩერებ ამ მუხლის მე-7 აბზაცზე, რომელშიც ნათქვამია, რომ „თუ ერთი და იგივე ამომრჩეველი ხელს მოაწერს ერთზე მეტი კანდიდატის დასახელებას, ბოლო ხელმოწერა ბათილად ჩაითვლება“. ერთზე მეტი ნიშნავს ორს, სამს, ოთხს და რამდენიც გნებავთ. რა გამოდის— შემმოწმებელი თარიღის მიხედვით დაადგენს, რომ კონკრეტული ამომრჩევლის ბოლო ხელმოწერა, ვთქვათ, მეხუთე დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდასაჭერ ნიუსზა და გააუქმებს მას, რადგან ქრონოლოგიურად ბოლო ხელმოწერა სწორედ ის იქნება. გამოდის, რომ დანარჩენი ოთხი დამოუკიდებელი კანდიდატის საზე ხელმოწერა კანონიერია. მერწმუნეთ, ეს ვერაფერი დემოკრატიაა.

მინდა შეგახსენოთ, რომ განსახილველმა კანონპროექტმა ამჯერად გვერდი აუარა დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას კრებებზე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც მოქმედი საარჩევნო კანონითაა გათვალისწინებული. ეს უარყოფილი მეთოდი დამოუკიდებელი კანდიდატების დასახელების ერთ-ერთი და, მე თუ მკითხავთ, უფრო დემოკრატიული ფორმაა, რადგან ამომრჩეველთა კრებებზე იყო ალტერნატიული კანდიდატურებიც და გაცილებით მეტი საჯაროობა, რასაც პეტიციის ფორმა საერთოდ გამორიცხავს. მაგრამ როგორც განსახილველი კანონპროექტიდან ჩანს, საარჩევნო საქმიანობის პრაქტიკამ გვიკარნახა ხელი აგვეღო დეპუტატობის კანდიდატის დასახელების ამ ფორმაზე. როგორც მოგახსენეთ, პეტიციის ფორმა კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობებს შეგვიქმნის და ამის დაკანონება გარკვეულ უარყოფითს დაღს დასვამს საარჩევნო კანონს, გაართულებს საარჩევნო კამპანიის ამომრჩეველთა ნებისმიერ ჯანსაღ აზრს, გულისყურით გავაანალიზოთ წამოყენებული წინადადებები და მივაგნოთ საარჩევნო კანონის სწორედ იმ ერთადერთ ვარიანტს, რომელმაც საბოლოოდ კანონის ძალა უნდა შეიძინოს. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საარჩევნო კანონის სრულყოფის გზაზე გადადგმული თითოეული ნაბიჯი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს. როგორც კოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ პოთხოვნებს. ეს კი ყოველმხრივ აწონ-დაწონილ და გააზრებულ მოქმედებას მოითხოვს. მაშ, ჩვენს გულისხმევას ნუ მოვაკლებთ ახალი საარჩევნო კანონის შექმნას, და დარწმუნებული ვარ, რომ მისი საშუალებით შექმნილი დღეისთვის საჭირო ისეთ კომპეტენტურ, მოშუშავე პარლამენტს, რომელიც შეძლებს გააკეთოს ის, რაც მომავალში სარგებლობას მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას.

ყოველივე ამის გამო, ჩემი მოსაზრებანი მინდა გაგიზიარო. წარმოდგენილი პირველი საარჩევნო კანონპროექტის ცალკეულ დებულებებზე.

ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელი 1859 წელს ქუთაისის გიმნაზიის უკანასკნელი კლასიდან გამოვიდა და მათემატიკის მასწავლებლის, პოლონელი პროფესორის როდზიევიჩის გავლენით სამხედრო სასწავლებელში მოსაწყობად, ძმასთან პეტერბურგში წავიდა. იქ აკაკი ძმას, ილიას გამოუტყდა: „მე, მართალია სამხედრო სამსახური მსურს, მაგრამ იმისთანა ადგილს მინდა შევიდე, სადაც სწავლის განგრძობა შესაძლებელი იქნება, რომ ბოლოს ღენერლის შტაბში გამოვიდე...“. ძმამ პოეწონა გადაწყვეტილება და უთხრა: „დღესვე შადლუდიდან რომ დავბრუნდებით, ჩვენ უფროსთან, პეტრე ბაგრატიონთან წაგიყვან და ის მოგცემს რჩევასა და დარიგებასაო“.

მეორე დღეს ძმები წერეთლები გენერალ პეტრე ბაგრატიონს ეახლნენ. აკაკი იგონებს: „სახლის პატრონმა ქართულად მომიკითხა, მე გავკვირდი და იმანაც სიცილით მითხრა: „განა ქართველი აღარა გგონივარ? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენც, როგორც იმერელი, უეჭველად იმერული კილოთი უკადებ და მე კი წმინდა ქართული ვიცოდი. ტფილისში სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და მისი ბრალიც იყო, ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამიგონია შაირებით დიდი კაცის ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი შეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით; როცა ფოტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს, - უცბად აუწევდით ხანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩაუგდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჭერხდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს, და ბარათაშვილს ჰოხორად ოცდახუთი როზგი შიანიჭეს; ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვართ სამსახურში...“.

შემდეგ ბაგრატიონმა აკაკის მოუსმინა და პეტერბურგში ჩასვლის მიზანი გამოკითხა. როცა გაიგო, რომ აკაკის წმინდა სამხედრო სამსახური კი არა, არამედ სწავლის გაგრძელებაც სურდა, შესძახა: „ოჰო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც ვატყობ, და უმჯობესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე? სამხედრო სამსახური ისეთი ჩამ არის, რომ ბევრი მოცალება არ გექნება, სწავლა-მეცნიერებას გამოუდგე. აი მეც, მარიამ ნიკოლაევნას ქმარს, ლეიტენანტ ერგის პრინცს, ვახლდი ადიუტანტად; ის დიდი მეცნიერი კაცი იყო, ქიმიკოსიც იყო. მეც ვითომ შემიყვარდა მის ხელში მეცნიერება, მაგრამ მერე დრო რომ აღარ დამრჩა, ჩამოვრჩი...“.

„— ეგ ყველაფერი ცხადია, მაგრამ მე სულ სხვა განზრახვით მივდივარ სამხედროში!...

აქ დაწვრილებით გავუზიარე მას, თუ რა იდუმალი განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურში შესვლის....

რომ მომისმინა, გადამეხვია და მაკოცა: „ღმერთმა ქნას, რომ სურვილი შეგსრულებოდეს...“.

აკაკის მიიღო პ. ბაგრატიონის რჩევა: იმავე წელს შევიდა და 1863 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი აღმოსავლური ენების ფაკულტეტი.

აკაკისა და პეტრე ბაგრატიონის ურთიერთობა შემდეგშიც გაგრძელდა; აკაკი ბაგრატიონის ოჯახში დაიარებოდა და მისგან რჩევა-დარიგებას ღებულობდა. ამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: 1860 წლის

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ— ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ

25 აპრილით დათარიღებულ წერილში აკაკი დედას წერს, რომ იგი იმხანად პეტრე ბაგრატიონთან ყოფილა და მასთან უსაუბრია.

აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ გახდა საბაბი იმისა, რომ პეტრე ბაგრატიონის მოღვაწეობა შეგვესწავლა. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად დავადგინეთ შემდეგი:

პეტრე რევაზის (რომანის) ძე ბაგრატიონი იყო ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს შთამომავალი, ბოროდინოს გმირის, პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის ძმისწული, ანა ბაგრატიონ-გოლიცინას ძმის შვილიშვილი;

რევაზ ბაგრატიონი 1827 წელს გადმოიყვანეს თბილისში. იგი ჯერ ქართული ლაშქრობის უფროსად დაუნიშნათ, ხოლო ერთი წლის შემდეგ თბილისის მაზრის გუბერნატორის მოადგილედ გადაუყვანითა; ცხოვრობდა ერთობ ხელმოკლედ, ჰყავდა მეუღლე ანა და სამი შვილი: პეტრე, ანა და რომანი. მათი საკუთარი სახლი იდგა დღევანდელი გრიბოედოვის თეატრის ადგილზე თბილისში;

9 წლის პეტრე ბაგრატიონი თბილისში მიაბარეს კეთილშობილთა სასწავლებელში და თურმე იჯდა ერთ მერხზე ნიკოლოზ ბარათაშვილთან;

რევაზ ბაგრატიონის ოჯახში იკრიბებოდნენ იმ დროს თბილისში გადმოსახლებული დეკაბრისტები: ა. ოდოევსკი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, ა. ბეზიმიანი, ნ. რაევსკი, ვ. ტოლსტოი, ე. მუსინ-პუშკინი, ზ. ჩერნიშევი. და სხვ.

ამ ოჯახში პირველად შესრულდა სიმებიანი კვარტეტის კონცერტი 1829 წელს და არა 1834 წელს, როგორც ამას ქართველი ხელოვნებათმცოდნენი ამტკიცებენ;

1875 წელს პეტერბურგში მეორმოცედ გამოიცა ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. მისი რედაქტორი ი. ი. გარუსოვი წინასიტყვაობაში წერდა: „გრიბოედოვის მიერ ჩასწორებული პირველი ხელნაწერის მიხედვით თბილისში ავტორის თანდასწრებით დაიდგა მისი „ვაი ჭკუისაგან“.

ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მონაწილე მიხეილ გამაზოვი იგონებს: „როლების შემსრულებელთა შორის ოჯახის წევრებიც ერივნენ: ანას და, რომელიც სოფიოს როლს ასრულებდა, მასპინძელს ახალგაზრდა ვაჟი, რომელმაც ლიზას როლი შეასრულა (რადგან იმხანად ქართველი ქალები რუსულ სპექტაკლებში მონაწილეობას ვერ ბედავდნენ) და მასპინძლის ბიძაშვილი რომან ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, რომელმაც სკალოზუბის როლი შეასრულა (იხ. „ვესტნიკ ევროპი“, 1875 წ., ტ. IV, წიგნი 7. გვ. 319-332). ამ ცნობით დასტურდება, რომ „ვაი ჭკუისაგან“ პირველად თბილისში დადგმულა.

1843 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის „ბიულეტენებში“ გამოქვეყნდა პეტრე ბაგრატიონის შრომა ფრანგულ ენაზე — „პირველი მშრალი ელემენტის“ შექმნის შესახებ (შეგახსენებთ, რომ იმ დროს ელექტროდენი ჯერ აღმოჩენილი არ იყო).

1844 წელს ამავე წყაროში ქვლავ ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა პეტრე ბაგრატიონის შრომა წიაღისეულიდან კეთილშობილი ლითონების ე. წ. ციანირების მეთოდით დამუშავების შესახებ.

1844-1845 წლებში ლონდონში, პარიზსა და ბერლინში ადგილობრივ ენებზე გადათარგმნა და გადაიბეჭდა პ. ბაგრატიონის აქ აღნიშნული შრომები;

1887 წელს (ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ), ამერიკელ-ნძლის ახალგაზრდა ვაჟი, რომელმაც ლიზას როლი შეასრულა (რადგან იმხანად ქართველი ქალები რუსულ სპექტაკლებში მონაწილეობას ვერ ბედავდნენ) და მასპინძლის ბიძაშვილი რომან ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, რომელმაც სკალოზუბის როლი შეასრულა (იხ. „ვესტნიკ ევროპი“, 1875 წ., ტ. IV, წიგნი 7. გვ. 319-332). ამ ცნობით დასტურდება, რომ „ვაი ჭკუისაგან“ პირველად თბილისში დადგმულა.

1843 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის „ბიულეტენებში“ გამოქვეყნდა პეტრე ბაგრატიონის შრომა ფრანგულ ენაზე — „პირველი მშრალი ელემენტის“ შექმნის შესახებ (შეგახსენებთ, რომ იმ დროს ელექტროდენი ჯერ აღმოჩენილი არ იყო).

1844 წელს ამავე წყაროში ქვლავ ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა პეტრე ბაგრატიონის შრომა წიაღისეულიდან კეთილშობილი ლითონების ე. წ. ციანირების მეთოდით დამუშავების შესახებ.

1844-1845 წლებში, ლონდონში, პარიზსა და ბერლინში ადგილობრივ ენებზე გადათარგმნა და გადაიბეჭდა პ. ბაგრატიონის აქ აღნიშნული შრომები;

1887 წელს (ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ), ამერიკელ-ბალტიისპირეთის გენერალ-გუბერნატორად მუშაობდა. მეფის რუსეთის სურვილის წინააღმდეგ რიგაში საკუთარ ხარჯზე გახსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც ბაგრატიონის გარდაცვალების უმალ გააუქმეს;

რუსეთის განათლების სამინისტროს დავალებით ბაგრატიონს რუსული ენის სწავლება საველდებულოდ უნდა შემოეღო ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში, მაგრამ მან ეს არ გააკეთა — პირიქით: რუსული ენის სწავლება არასავალდებულოდ გამოაცხადა, მას სწავლობდნენ ზოგიერთ საშუალო სასწავლებელში პირადი სურვილით.

1950 წლამდე დაკარგული იყო პეტრე ბაგრატიონის სურათი, ხოლო მისი საფლავის კვალის მიგნებაც კი ოცნებად გადაიქცა, რადგან მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ ჩამოგდებული ბომბი მოხვდა იმ კვარტალში, სადაც ბაგრატიონის საფლავი იყო ლენინგრადის ნოვოდევიჩის მონასტრის სასაფლაოზე.

ამჟამად ეს საკითხიც მოგვარებულია.

განა რა იქნება, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მეცნიერი პეტრე ბაგრატიონის სახელი მიეკუთვნოს?

ვ. პაჩაკაძე,
პროფესორი, მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ღრმავდება პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი.

წარმოება იკვეცება, სიძვირე მატულობს, ცხოვრება უარესდება. თვითნებობამ, განუკითხაობამ, კანონიერების დარღვევამ, მაფიის მოძალებამ გაუგონარ მასშტაბს მიაღწია.

შექმნილ ვითარებაში ხელისუფლება სათანადოდ ვერ მართავს სიტუაციას, ვერ გვთავაზობს კრიზისული მდგომარეობიდან რეალურ გამოსავალს.

რთული ვითარება შეიქმნა საქართველოშიც. ეროვნულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხალხის პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებაში, მაგრამ ამჟამად თავი იჩინა სხვადასხვა პარტიათა და გაერთიანებათა შორის შეუთანხმებლობამ, რომელიც სრულ კონფრონტაციამდეც მიდის.

გათიშულობა, შეუწყნარებლობა, ურთიერთდაუნდობლობა ხელს უშლის ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ შემეკავებას და აბრკოლებს ეროვნულ მოძრაობას.

სამშობლოს მრავალი საფრთხე შეექმნა.

მოვლენები კი სწრაფად ვითარდება. აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის შეკავშირება.

საფრთხის წინაშე გვაყენებს ერთიანობრისი დაძაბულობაც; საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ნაწილს, სამწუხაროდ, არა სჯერა, რომ ქართველი ხალხი შეძლებს ისეთი დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას, რომელიც დაცული იქნება ყველა ერის, ეთნიკური ჯგუფისა თუ პიროვნების უფლებები და მათ შესაძლებლობა ექნებათ მშვიდობიანი ცხოვრებისა და განვითარებისა.

ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი, გარეშე ძალების მოქმედების გარდა, ისაც არის, რომ ჯეროვნად ვერ ვაფასებთ დღევანდელ ისტორიულ მომენტს, გვაკლია რეალისტური, თვითკრიტიკული აზროვნება, ზშირად — პარტიულ და პირად ამბიციურ ინტერესებს უფრო მაღლა ვაყენებთ, ვიდრე ეროვნულ და საერთო-სახალხო ინტერესებს.

და ეს ხდება მაშინ, როცა ისახება რეალური შესაძლებლობა, შეიქმნას საქართველოს დემოკრატიული, თავისუფალი, სამართლებრივი სახელმწიფო—ცივილიზებული სამყაროს ოჯახის წევრი, სადაც დამკვიდრდება კანონის უზენაესობა, დაცული იქნება ყველა ხალხის, სოციალური ჯგუფისა თუ პიროვნების უფლებები.

უეცილობლად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. ამ საკითხზე დღეს ფიქრობენ პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიების გარეთ მდგომნიც.

ამაზე მსჯელობს სრულიად საქართველო. ყველას სურს, მოძებნოს გამოსავალი არსებული სიტუაციიდან, მაგრამ გათიშულობისა და დაპირისპირების ვითარებაში ეს შეუძლებელი ხდება.

დრო კი არ ითმენს.

შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა გამო მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ხვალინდელი დღე, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, პარტიულობისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა, გამოგიჩნოთ სიბრძნე და სიდარბაისლე, ხელი ავიღოთ კონფრონტაციაზე, უარი ვთქვათ პოლიტიკურ საქმიანობაში ძალადობაზე, რათა შევქმნათ დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელშიც უშიშრად და ღირსეულად ვიცხოვრებთ ჩვენც და ჩვენი შთამომავლობაც.

ამ მაღალი, კეთილშობილური მიზნით შევიკრიბეთ ჩვენ, საქართველოს მეცნიერებს, კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლნი და გადავწყვიტეთ შევქმნათ „საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირი“, რაც გულისხმობს თანხმობას როგორც ქართველთა, ასევე საქართველოში მოსახლე ყველა ხალხს შორის.

„საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირის“ შექმნა არ ნიშნავს მორიგი პოლიტიკური პარტიის დაარსებას. კავშირში შეიძლება გაერთიანდეს საქართველოს ყველა მცხოვრები, განურჩევლად ეროვნებისა, პროფესიისა, პარტიულობისა, სარწმუნოებისა, ყველა, ვინც საერთო ეროვნულ და ზნეობრივ იდეალებს აღიარებს.

კავშირის მიზანია, დასახოს დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მეცნიერულად გააზრებული, კონკრეტული გზები, იბრძოლოს საქართველოს სრული სუვერენიტეტისათვის, მისი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებისათვის, რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეთნიკური დაძაბულობის განმუხტვისათვის, მაღალი ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებისათვის.

მწვავე საარსებო პრობლემების წარმატებით გადაჭრის საშუალად გვესახება მრავალპარტიულობის პირობებში არჩეული კომპეტენტური საკანონმდებლო ორგანო. ჩვენს წმიდათაწმიდა საუალ-დოებრიობას წარუდგეს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განვითარების საკუთარ კონცეფციას და მისი განხორციელების კონკრეტულ გეგმას.

მოგიწოდებთ, მხარში ამოუდგეთ „საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირს“, რათა ერთობლივად ვიღვაწოთ და ვიბრძოლოთ დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოსათვის!

ᲡᲐᲠᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ: **გრიგოლ აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი აბდუშელიშვილი, ვალერიან ადვაძე, ალექსანდრე ალექსიძე, ლევან ალექსიძე, რევაზ ამაშუკელი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ არობელიძე, ვალერი ასათიანი, მარიკა ბარათაშვილი, ვახტანგ ბერძენიშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, იგორ ბოგომოლოვი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნანი ბრეგვაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ანზორ ბურჯანაძე, ვლადიმერ გაბაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი გეგეჭკორი, ჯემშიდ გიუნაშვილი, რისმაგ გორდენიანი, ეთერ გუგუშვილი, ვახტანგ გურგენიძე, ნოდარ გურეშიძე, თამარ დეკანოსიძე, თეიმურაზ დიდებულიძე, ედუარდ ელიგულაშვილი, რაფიელ ელიგულაშვილი, ნოდარ ემუხვარი, ანზორ ერქომაშვილი, მამია ვარშანიძე, ჯუანმერ ვაფიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თაბუკაშვილი, დიმიტრი თაყაიშვილი, მამია თენიეშვილი, ლევან თოიძე, გიორგი იოსელიანი, გენო კალანდია, ზაზა კახიანი, დავით კვიცარიძე, ვარლამ კეშელავა, ვახტანგ კიკაბიძე, ვასილ კიკნაძე, შალვა კიკნაძე, არჩილ კილასონია, რესან კონკელიძე, თეიმურაზ კოპალეიშვილი, გელა ლეფავა, ზურაბ ლეჟავა, ოთარ ლითანიშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ჯუმბერ ლომინაძე, გიგა ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ედიშერ მაღალაშვილი, ელგუჯა მაღრაძე, მუხრან მაჭავარიანი, ნარგიზა მგელაძე, დავით მელუხა, ირაკლი მენაღარიშვილი, ელენე მეტრეველი, ვალერიან მეტრეველი, როინ მეტრეველი, რომან მიმინოშვილი, გივი მინდელი, გურამ მირიანაშვილი, ვახტანგ მიროტაძე, ცოტნე მიცხელავა, ჯუნა მიქატაძე, დომენტი მოურავიძე, ნიკოლოზ მონონელიძე, დავით მუსხელიშვილი, გია ნადარეიშვილი, ოთარ ნათიშვილი, ბიძინა ნანეიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ვაჟა ოკუჯავა, გიზო ფორდანია, ირაკლი ფორდანია, ზურაბ რატიანი, ბაადურ რაქველიშვილი, ილია რურუა, ნოდარ რუხაძე, მინდია სალუქვაძე, რევაზ სალუქვაძე, სოლომონ სამხარაული, თამაზ სანიკიძე, ლევან სანიკიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ბენიკ სეირანიანი, გივი სვანიძე, არჩილ სულაკაური, რამაზ სურმანიძე, ლუკა ტყემალაძე, მინდია უგრეხელიძე, ნათელა ურუშაძე, გურამ ფანჯიკიძე, გია ფაცურია, თენგიზ ფერაძე, მორის ფოცხიშვილი, ალექსანდრე ქანთარია, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ეთერ ქემერტელიძე, იორამ ქემერტელიძე, ჯანსულ ღვინჯილია, როგნედა ღამბაშიძე, ვანო ყიფიანი, ნოდარ ყიფშიძე, თამაზ შავგულიძე, მალხაზ შანიძე, გურამ შანშიაშვილი, ჯემალ შანშიაშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, კოტე ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ ჩუბინიშვილი, რევაზ დავითის ძე ჩხეიძე, რევაზ მიხეილის ძე ჩხეიძე, გიორგი ციციშვილი, დავით ციციშვილი, ირაკლი ციციშვილი, აკაკი ძიძიგური, ნუგზარ ნერეული, ანტონ ნულუკიძე, დიმიტრი ჭანტურიშვილი, ლევან ჭანტურიშვილი, ლევან ჭაჭიაშვილი, ოთარ ქელიძე, ანზორ ქთანავა, ვახტანგ ქიჭინაძე, ზურაბ ქუმბურიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, მირონ ხერგიანი, ბორის ხვედელიძე, შალვა ხიდაშელი, გიორგი ხორგუაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ნინო ჯავახიშვილი, რევაზ ჯავახიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ნოდარ ჯაველიძე, მედეა ჯაფარიძე, რევაზ ჯაფარიძე, ანზორ ჯორბენაძე, ბესარიონ ჯორბენაძე.**

რამდენადაც მიმართვაზე ხელმომწერთა რაოდენობა განისაზღვრა 150 კაცით, ხოლო წევრთა რაოდენობა ბევრად მეტია, შერჩევას საფუძვლად დაედო წარმომადგენლობითი პრინციპი. საინიციატივო დასის საბჭო ბოდიშს უხდის იმ პირთ, რომელნიც ხელისმომწერთა ამ სიაში ვერ მოხვდნენ.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ „ეროვნული თანხმობის კავშირის“ საორგანიზაციო კომიტეტს.

მისამართი: 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ოთახი 424.
ტელეფონი: 99-56-21; 93-87-62.

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲕᲣᲭᲔᲠ

ᲐᲮ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული კანონპროექტი, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სიჯაროობისა და საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის გზაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია, რომელშიც უნდა მიიღოს აღნიშნული კანონპროექტი, 17 აგვისტოს იხსნება და ძალიან ცოტა დრო დარჩა მათი განხილვისათვის.

საარჩევნო კანონპროექტები ძირითადად რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით არის შედგენილი. მათში გათვალისწინებულია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და რესპუბლიკის მკვიდრთა ინტერესები.

ვეთანხმები და მხარს ვუჭერ საარჩევნო კანონპროექტის მეორე ალტერნატიულ ვარიანტს. მასში, ჩემი აზრით, სწორად არის გათვალისწინებული, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს.

ჩემი აზრით, კანონპროექტის მეორე ვარიანტის, მე-12 მუხლის მეორე აბზაცი, სადაც აღნიშნულია „პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გავრცელეს დეპუტატების კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები ან აგიტაციას ეწეოდნენ არჩევნების დღეს“, უნდა იყოს ასეთნაირად: „პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გავრცელეს დეპუტატების კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახველი არასწორი ცნობები...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

სიტყვა „არასწორის“ აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც არაავის არ უნდა წაერთვას უფლება სამართლიანად გააკრიტიკოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული პირი ან გამოაქვეყნოს მის მიმართ ცნობები, თუკი ისინი სინამდვილეს შეეფერება.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲡᲝᲤᲠᲝᲛᲐᲫᲔ,
თერჯოლის რაიონის რუფოთის სახოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

უცხოეთში

საკლესიო იუწყება

14 აგვისტო

ერაყი-ქუვეითი

გაერო. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობა თავშეკავებით მიეკედა შეერთებული შტატების მოქმედებას სპარსეთის ყურის რაიონში.**

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის პასუხისმგებელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ უმნიშვნელოვანეს ორგანოს დახურული კონსულტაციების დროს **შეერთებულმა შტატებმა ვერ მიაღწია იმას, რომ მხარი დაეჭირათ გაშინგტონის მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილებისათვის — გზა გადაუკრან ერაყსა თუ ქუვეითში მიმავალ ან ამ ქვეყნებიდან მომავალ გემებს, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ერაყის საზღვაო ბლოკადას.** როგორც საკრებულის კორესპონდენტს აცნობეს, შეერთებული შტატების ზოგიერთმა მოკავშირემაც კი უარი თქვა მხარი დაეჭირა ასეთი აქციებისათვის.

ვაშინგტონი. ორშაბათისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებმა მთლიანად, აღკვეთეს სპარსეთის ყურით ერაყისათვის ტვირთის შეტანა და გამოტანა. ისინი მოქმედებენ ბაღდადის წინაააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად, განაცხადა ორშაბათს თეთრი სახლის პრესმდივანმა მარლინ ფიცუოტერმა. **თავი აარიდა რა გამოთქმას „სამხედრო-საზღვაო ბლოკადა“, რადგან იგი გულისხმობს ომის მდგომარეობას ამ ქვეყანასთან, რომლის მიმართაც ხორციელდება, მ. ფიცუოტერმა თქვა, რომ „ემბარგოს“ „ჩინებული“ შედეგები მოაქვს.**

● **ნიკარაგუა**

ჰაველის ვიზიტი

მანაგუა. **ორშაბათს ნიკარაგუაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ჩეხეთ-სლოვაკეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი.** მანაგუის საერთაშორისო აეროპორტში მას დახვდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ვიოლეტა ბარიოს დე ჩამორო. შეხვედრის ოფიციალურ ცერემონიაზე გამოსვლისას მან განაცხადა რომ მრავალი წლის განმავლობაში ნიკარაგუისა და ჩეხეთ-სლოვაკეთის ხალხები „ეწოდნენ ერთსა და იმავე ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის“. თავის მხრივ, ვაცლავ ჰაველმა აღნიშნა, რომ ჩეხეთ-სლოვაკეთი მეესალმება დემოკრატიას ნიკარაგუაში. ვიზიტის პროგრამის თანახმად, რომელიც დასრულდა გუშინ, 14 აგვისტოს, გაიმართა ორი სახელმწიფოს მეთაურთა მოლაპარაკება, ეკონომიკურ საკითხთა კომისიების სხდომა, აგრეთვე ნიკარაგუისა და ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთან შეხვედრა.

ბერლინი. **ნიშანდობლივი მოვლენა მოხდა ორი ბერლინის საზღვარზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში საგარეო საქმეთა მინისტრების მეორე შეხვედრის წინ ფორმულით „ორი პლუს ოთხი“.** აქ გაიმართა **ხამოკავშირეო საკონტროლო გამშვები პუნქტის „ჩეკფოინთ ჩარლის“ ლიკვიდაციის საზეიმო ცერემონია.** ამწის დახმარებით ეს შენობა ავტომატარებელზე დატვირთეს და შუზეუმის გზას გაუყენეს.

სურათზე: 1981 წლის ოქტომბერი. ყოფილი მოკავშირეების დაპირისპირება. თუმცა, საღმა გონებამ გაიმარჯვა.

დპა-საკლესიის ფოტო.

ინდოეთ-პაკისტანი

ისლამაბადი. **პაკისტანის თავდაცვის სამინისტრო გამოვიდა განცხადებით, რომლის თანახმადაც ინდოეთის ჯარები შეეცადნენ დაეკავებინათ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი კონტროლის ხაზზე ჯამშირში.** დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ 12 აგვისტოს, ინდოეთსა და პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროების მდივანთა მოლაპარაკების მეორე რაუნდის შემდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციას, რესპუბლიკის ჯარებმა არტილერიის მხარდაჭერით უეცარი შეტევა მიიტანეს ჰიმალაიში პაკისტანის არმიის ერთ-ერთ მაღალმთიან პოსტზე. გაცხარებული ბრძოლის შედეგად, ნათქვამია განცხადებაში, პაკისტანის სამხედრო მოსამსახურეებმა უკუაგდეს ინდოელთა შეტევა, რომელთა შორის არიან დახოცილები და დაჭრილები.

დელი. **ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმომადგენელმა უარყო პაკისტანის თავდაცვის სამინისტროს განცხადება.** „რესპუბლიკის ჯარებს არ ჩაუტარებიათ შეტევითი ოპერაციები არტილერიის მხარდაჭერით და არ მოსვლიათ არავითარი მსხვერპლი, ომანში, იორდანიასა და ეგვიპტეში.

ბონი. **დასავლეთ გერმანიის დაზვერვის ერთ-ერთი აგენტი აქტიურად უწყობდა ხელს იმას, რომ ერაყს მოეგვარებინა საბრძოლო მომზადებული ნივთიერებების წარმოება.** ასეთი მხილებით გამოვიდა ფურნალი „შპიგელი“. იგი ჰამბურგის ერთ-ერთი ფირმის თანამშრომელი იყო და დაეხმარა ბაღდადს შეეძინა დანადგარი, **რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ისეთი ნერვულ-დამადამბლავებელი მოქმედების შხამიანი გაზების წარმოება, როგორიც არის ზარინი და ტაბუნი.** **როგორც დასავლეთ გერმანიის საინფორმაციო საგენტო იუწყება, მთავრობამ უარყო ფურნალის ცნობა.**

წარდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებაზე

პროფილაქტიკური მედიცინის თვალსაჩინო მკვლევარი

ქართული ეროვნული მედიცინის ისტორიის ფურცლები მრავალი სასიქადულო მამულიშვილის სახელოვან გზას ასახავს, რომელთა ღვაწლი სამედიცინო მეცნიერების, პრაქტიკის, ორგანიზაციის მიმართ საკმაოდ გამორჩეული და აღიარებულია.

მათ შორისაა პროფესორი გივი ადდუშელიშვილი, რომელიც 15 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ისეთ თვალსაჩინო სამეცნიერო-კვლევით კოლექტივს, როგორიც არის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტი.

საგულისხმოა, რომ 1974 წელს, მაშინ, როდესაც პრაქტიკაში არ იყო მიღებული ინსტიტუტის ხელმძღვანელის არჩევა, გ. ადდუშელიშვილი მთელი კოლექტივის ერთსულოვანი მოთხოვნით დამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

ბუნებრივია, რომ მას შეტად რთული და ძნელად გადასალახავი სიძნელეები ელოდა დირექტორის პოსტზე, მაგრამ კოლექტივის მხარდაჭერამ და შემოქმედებითი კვლევის დიდმა სურვილმა ბევრი რამ შეაძლებინა.

პირველ რიგში საჭირო იყო კოლექტივში ახალგაზრდობის მიზიდვა და მათი შემდგომი პროფესიული დაოსტატება. ამ თვალსაზრისით პროფესორმა მისაბაძი მაგალითი გვიჩვენა. მან ინსტიტუტის წამყვან განყოფილებებში თავი მოუყარა ახალგაზრდებს, რომლებიც გამოცდილი, აღიარებული მეცნიერ-სპეციალისტების ხელმძღვანელობით იკვლევენ გზას პროფილაქტიკურ მეცნიერებაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მომავლისათვის იყო სამეცნიერო თემატიკის იმ ძირითადი პრინციპების შემუშავება, რომლებიც ინსტიტუტს და მის სპეციალისტებს მისცემდა სამეცნიერო კვლევის მიღწევათა წარმოჩენის საშუალებას, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, და ამ მიღწევათა პრაქტიკაში რეალიზაციას. ამ მიზნით დიაგრამა სამი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა, ესენია: გარემოს დაცვის, ჰიგიენის, კვების პროდუქტების სამედიცინო პრობლემების, ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის დამუშავება.

თანამედროვე დონეზე მეცნიერული კვლევის მიზნით საჭირო იყო დამყარებულიყო მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან. პროფესორ გ. ადდუშელიშვილის ხელმძღვანელობით შემუშავდა მეცნიერული თანამშრომლობის ეფექტური ფორმები და საშუალებები.

სწორედ ამ ღონისძიებათა საშუალებით სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გახდა მეცნიერული აზრის შემუშავებისა და პროპაგანდის ერთ-ერთ აღიარებულ კერად მსოფლიოში.

1975 წელს, პირველად საბჭოთა კავშირში, ამ ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი გარემოს დაცვის ჰიგიენური პრობლემებისადმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნებისა და იუგოსლავიის წამყვანი სპეციალისტები. მისივე ინიციატივით 1980 წელს თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გამსვლელი სესია მიძღვნილი გარემოს დაცვის მედიკო-ბიოლოგიური პრობლემებისადმი. მომდევნო წლებში სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის სპეციალისტები ამყარებენ საქმიან კონტაქტებს ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის პროფილური ინსტიტუტების სპეციალისტებთან. ამ კონტაქტების ძირითადი მიზანია გარემოს დაცვის მეცნიერული კვლევა, ერთობლივი თანამშრომლობა მრავალ პრობლემურ საკითხზე.

პროფესორ გ. ადდუშელიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ინსტიტუტი დამტკიცდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბაზად კადრების დახელოვნების ხაზით. ამ მიზნით 1979-1984 წლებში ინსტიტუტში ჩატარდა მიკოტოქსინების დარგში მომუშავე სპეციალისტთა დახელოვნების ციკლი.

პროფილაქტიკური მედიცინის წინაშე მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არატრადიციული გზით ცლების მიღება და მათი მედიკო-ბიოლოგიური შეფასება: კვლევის ეს საკითხი ქართველი მედიკოსების ძიების საგანს წარმოადგენს. ამ მიზნით, გ. ადდუშელიშვილის ინიციატივით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ცილის შემსწავლელი ჯგუფი და განისაზღვრა მისი კვლევის აქტუალობა ინსტიტუტის თემატიური გეგმით. საკვები ცილის მეცნიერულ შესწავლას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის წამყვანმა სპეციალისტებმა ერთობლივი მუშაობა ჩაატარეს ამერიკის შეერთებული შტატების ფირმა „რალსტონ აურინა კომპანისტთან“. კვლევის მიზანია დაბალკალორიული საკვები პროდუქტების შექმნა, რომლებიც რეკომენდებულია სიმსუქნითა და ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის.

გ. ადდუშელიშვილი, როგორც თბილისის სამედიცინო სახელმწიფო ინსტიტუტის პედაგოგი, თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს მომავალ სპეციალისტებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი საქართველოს ჰიგიენისტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე და ჰიგიენისტთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრია. 12 წელია, როგორც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი დიეტოლოგი რესპუბლიკაში ეწევა პრაქტიკულ-საორგანიზაციო მოღვაწეობას.

იგი არჩეულია საბჭოთა კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის კვების სარედაქციო გაყოფილების რედაქტორად, ამავე აკადემიის ჰიგიენის სამეცნიერო საბჭოს და საკავშირო სამედიცინო აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კვების საექსპერტო საბჭოს წევრად, ჟურნალების: „გიგიენა ი სანიტარია“, „ვოპროსი პიტანია“, „საქართველოს სამედიცინო მოამბის“ სარედაქციო საბჭოს წევრად.

ბატონი გივი ოთხჯერ აირჩიეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ხელმძღვანელობდა „ბუნების დაცვის“ მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობას. ამჟამად არჩეულია დიდუბის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატად და ამავე რაიონის „ჯანმრთელობის დაცვის სოციუზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის“ მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ. ახლახანს აირჩიეს იგი დიდუბის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის წევრადაც.

პროფესორ გ. ადდუშელიშვილის საექიმო, სამეცნიერო, პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობა ეროვნული მედიცინის სამსახურში უდაოდ გამორჩეულია და, სრულიად ბუნებრივია, რომ ის წარდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებაზე.

ბიძინა ნანეიშვილი,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

გივი კვანჭახაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრის გამგე, ჰიგიენისტთა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

მოლოდინი. ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ისევ მესხეთელი თურქების შესახებ

მდინარე ფსოუზე სიმშვიდეა

სარფანი მონაცემებით, ეგრეთ წოდებული მესხეთელი თურქების უკანასკნელმა ჯგუფებმა ძირითადად დატოვეს ქალაქ სოჭის რაიონი. ორგანიზებულად ჩაიარა მათმა ევაკუაციამ ადლერის სტადიონიდან, სადაც ბანაკი დასცეს საქართველოში დასახული მსვლელობის მონაწილეებმა. სოჭის საქალაქო საბჭოს აღმასკომის აქტიური ხელშეწყობით ისინი უზრუნველყვეს ყველა საზღვის ტრანსპორტის უკანდასაბრუნებელი ბილეთებით, მათთვის დაინიშნა სპეციალური რეისები.

და ახლა, მართალია მოზერხდა დაძაბულობის შენელება ზედთან, მდინარე ფსოუზე, სადაც გადის რუსეთის და საქართველოს საზღვარი, მაგრამ ქართველების, აფხაზების, სომხებისაგან შემდგარი სახალხო რაზმეულების პიკეტები კვლავ განაგრძობენ ვახტს. მათ შემფოთებას იწვევს სიტყვა „ძირითადად“, და გადაწყვეტილი აქვთ პატრულობა საქართველოს „კარიბჭესთან“ მანამ, სანამ ადლერსა და მის მიდამოებს არ დატოვებს უკანასკნელი მესხეთელი თურქი.

მთლიანად ვითარება ამ რეგიონში, საიდანაც მესხეთელ თურქებს დაგეგმილი ჰქონდათ „მშვიდობიანი ლაშქრობა“ რუსეთში, სტაბილური გახდა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ თქვა, რომ თურქთა ეროვნული მოძრაობის „ვათანის“ ლიდერებმა, გაითვალისწინეს რა საქართველოში, და მათ შორის აფხაზეთში, შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, გადაწყვიტეს თავი შეეკავებინათ ეგრეთ წოდებული „მშვიდობიანი ლაშქრობისაგან“.

ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა თურქთა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელებსა და პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გამართულმა დიალოგმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის მიზნით შექმნილი შტაბებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობამ, აგრეთვე ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის, კერძოდ, „ორგვალო მაგიდის“ განცხადებამ პარლამენტური, დემოკრატიული გზით ამ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ.

თენგიზ ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტის გამო

საქართველოდან 1944 წელს გასახლებული თურქების შესახებ კვლავ ბევრს წერენ როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ პრესაში, ბევრსაც ლაპარაკობენ. მათ შესახებ ჩვენი აზრი გამოთქვით 9 ივნისის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი- „ბოლომდე ვთქვათ სიმართლე“. გასახლების მიზეზებისა და როგორც მთლიანად, ისე ცალკეული რაიონების მიხედვით გასახლებულთა რაოდენობის შესახებ მოვიტანეთ ორი საარქივო დოკუმენტი (ერთი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სახელმწიფო არქივიდან, ერთიც — თბილისის პარტიული არქივიდან).

დღეს მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ საარქივო დოკუმენტს. ეს არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულება.

ბრძანებულებით მათ მოეხსნათ სპეცგასახლება და განთავისუფლდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ადმინისტრაციული მეთვალყურეობისაგან. მაშასადამე, მათ შეეძლოთ გადაადგილება. მაგრამ ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლით არა აქვთ უფლება დაბრუნდნენ იმ ადგილებში, სადაც გასახლებამდე ცხოვრობდნენ. ამასთან, არ უბრუნდებათ და არც უნაზღაურდებათ კონფისკეული ქონება.

მიუხედავად ასეთი შეზღუდვებისა, ბრძანებულების შემდეგ 7 თვეში, 1956 წლის პირველ ნოემბრამდე საქართველოში, კერძოდ, ბათუმში, ქობულეთსა და ხაშურის რაიონებში დაბრუნდა 242 ოჯახი — 1032 სული. მათ შორის იყვნენ მოხუცებიც, ქალებიც, ბავშვებიც, კომუნისტებიც და კომკავშირლებიც, სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების მფლობელებიც. ისინი მოითხოვდნენ აქვე ჩანერას და ნებართვას, ჩაბმულიყვნენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

მაგრამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ორგანოებმა მათ განუმარტეს, რომ ეს არის კანონსანინააღმდეგო მოქმედება და განახორციელეს ღონისძიებანი საქართველოდან მათი გასვლისათვის.

ზოთა ნოზაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

საგუნარინრო ორბიტა

კალათბურთი. არგენტინაში მიმდინარე კალათბურთელ ვაცთა მსოფლიო ჩემპიონატზე დაიწყო მატჩები მეოთხედფინალური ჯგუფებში.

პირველ ჯგუფში პუერტორიკოელებმა დამარცხეს ავსტრალიელები — 89:79. საინტერესო აღმოჩნდა მეორე შეხვედრა ამერიკელებსა და არგენტინელთა შორის, გულშემატკივრებისაგან „დაქოქილმა“ მასპინძლებმა კინაღამ შეძლეს ამ მატჩის გადარჩენა — საბოლოოდ მათ მხოლოდ ოთხი ქულა დათმეს — 100:104.

მეორე ჯგუფში ჩემპიონატის ფავორიტმა — იუგოსლავიამ ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოუგო „ოსკარ შმიდტის გუნდს“ — ბრაზილიას — 105:86.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში კი საბჭოთა ნაკრები ბერძენ კალათბურთელებს შეხვდა. სხვაობა ინგარიშში სწრაფად იცვლებოდა საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ და მან მოიგო კიდეც ეს მატჩი — 75:57.

ტყვიის სროლა. მოსკოვში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ჩვენი თანამემამულენიც იღებენ მონაწილეობას ამ დიდ ასპარეზობაში. ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქაძე გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ბირადში კი მეოთხე ადგილს დასჯერდა (ნინო ლიდერობდა ძირითადი სერიის შემდეგ, დამატებითში კი ორი დასანანი შეცდომა დაუშვა და ფაქტიურად ოქროს მედალი დაკარგა).

მრგვალ სტენდზე კარგად ისაპარეზა ჩვენმა სახელოვანმა მსროლელმა — თამაზ ინანიშვილმა. გუნდურ შეჯიბრში მას „ვერცხლი“ ერგო, პირადში კი, დრამატული ბრძოლის შემდეგ 220 დამსხვრეული სამიზნით 225-დან მესამე ადგილი მოიპოვა. ჩემპიონი გახდა იტალიელი ანდრეა ბენელი — 222 ქულა, ვიცე-ჩემპიონი კი კუბელი სერვანდო პულდონი — 221.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში

18 აგვისტოს 00 საათსა და 20 წუთზე ქალაქ სოჭის სახატმრაზე რეკოლვერითა და დანით შეიარაღებული ორი უცნობი შეიჭრა ნომერში, რომელშიც იყო სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ორი მივლინებული თანამშრომელი, და მოსთხოვა ფული. როცა წინააღმდეგობას წააწყდნენ, თავდამსხმელებმა სროლა ატეხეს. პასუხად ჩეკისტები იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ პირადი იარაღი. სროლის შედეგად ერთ-ერთი დამნაშავე მოკლულია, მეორე — დაჭრილი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები არ დაშავებულან.

როგორც გამოირკვა, თავდამსხმელები იყვნენ უმუშევარი ოჯახიან ჯემხის ძე კარაკოზიანი, დაბადებული 1972 წელს, ხომები, ხომხეთის სსრ ქალაქ მეგრის მცხოვრები, და მიხეილ ბორისის ძე ვისოცკი, დაბადებული 1968 წელს, რუხი, სვერდლოვსკის ოლქის კრასნოუფიმსკიდან.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

რედაქტორი
მინდია უბრეხელიძე.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 15 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „თელავური ნარშავები“. 16.50 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ციხკარა“. მხატვრული ფილმი „პეტრეს სიჭაბუკე“. I სერია. 18.00 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“. 18.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ძველი ოსტატობის საიდუმლო“. 18.55 — განცხადებები. 19.00 — ხალხური შემოქმედება. თვითნასწავლი მხატვარი გრიგოლ ‘ტატიშვილი. 19.15 — „სტუმრად მიუნხენელ ქართველებთან“. 20.00 — მოამბე. 20.30 — სტუდია „დიალოგი“. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — ხალხური შემოქმედება „304-ე ოთახი“. 22.45 — „ვიდეო, ვიდეო...“.

მეორე პროგრამა. 16.00 — 19.00 — საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამის გამეორება. 19.00 — მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (ტრანსლაცია არგენტინიდან). 20.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ჯეკ ვოსმიორკინი — ამერიკელი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი“. 8.35 — „სოფელი სტეპანჩიკოვო და მისი მკვიდრნი“. მხატვრული ტელეფილმი. II სერია. 10.05 — მღერის ქსენია გიორგიადი. 10.30 — ლიტერატურულ-მხატვრული პროგრამა „სიტყვა“. 12.30, 18.30 — „ვრემია“. 16.00 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 16.15 — მულტფილმი. 16.30 — ბავშვის საათი. 17.30 — ინდოეთი: ღვთისმოსაობა — ქედუხრელობის წყარო. 19.00 — რეზონანსი. „ნატო — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია: მერე რა იქნება?“. 20.15 — კონცერტი. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — კოლაჟი. 21.45 — „კუნძული“. მხატვრული ფილმი. I სერია. 23.30 — ცეკვა, ცეკვა... 0.05 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური.

მეორე პროგრამა. 8.00 — ტანვარჯიში. 8.20 — დოკუმენტური ფილმები. 9.00 — „გამარჯობა, მუსიკავ!“. 9.45 — მულტფილმი. 10.05 — „არსლანის თავგადასავალი“. მე-2 სერია. 11.10 — „საუბარი სამზარეულოში ანუ ბედნიერი ქალის მონოლოგი“. დოკუმენტური ფილმი. 11.30 — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. მეექვსე სერია. 17.00 — ა. შნიტკე — „არა“ სიზმარი ზაფხულის ღამით“. 17.10 — „ბარიერი“. „ღონეს ჭკუაც უნდა დავატანოთ“. 17.40 — „საშველად გიხმობთ...“ ერთი ხუტორის ამბავი. 18.30 — „ვრემია“. 19.00 — კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: ვაჟები. შესვენებისას (19.40) — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 20.40 — კოლაჟი. 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალუბლის ყვავილობა“. პრემიერა. 22.05 — საერთაშორისო საესტრადო ფესტივალი „სოპოტ-90“.

კომუნისტი ინდექსი 60434 **საქართველოს სკ ცკ-ის ჟამოკავშირის ორგანოს ეროვნული ბიბლიოთეკა** **ტბილისი, კოსტავას ქ. 14,** **ბეჭდავს ოფსეტური წესით. საბაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 29.** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14